საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფეუილებით და ჯოჯებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 ნოემბერი, 2015 წელი.

№220 (7865)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

შოთა ჭოიძე:

ღია წერილი აშშ-ის სრულუფლებიან ელჩს იან კელის

4

ბატონო იან კელი, რახან შემდგომ ამისა საშუალება აღარ მექნება, მინდა წინასწარ მოგილოცოთ კარსმომდგარი შობა-ახალი წელი და გისურვოთ, გეღვაწოთ ისე, როცა თქვენი საელჩო მანდატის დრო ამოიწურება, ჩემს ხალხს დაენანოს თქვენი საქართველოდან გამგზავრება.

5

ფრთხილად, ადამიანებო, ჩვენ ხერხემლიანები ვართ და არა პრიმატები...

თურქი პროფესიონალები – თქვენი ჯანმრთელობის საფარაჯოზე

11

MEDICANA HEALTH GROUP

ლამაზი ცხოვრების სურვილით

◎ ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

ვანუაა თუთიყუში თუ თუთიყუშია ვანუა?!..

— ნაციონალები ატომური ბომბისა და ბალისტიკური რაკეტების გარდა, თითქმის ყველა საშუალებასა და ხერხს მიმართავენ, რომ ხალხის თვალში როგორმე ლაფში ამოსვარონ, რაც შეიძლება მეტად გაუტეხონ სახელი ამჟამინდელ ხელისუფლებას და „ქართული ოცნება“ „ქართულ ჭირად“ აქციონ.

— კი, ბატონო, მაგრამ პირდაპირ საოცარია, რომ თვითონ „ქართული ოცნება“ უწყობს ხელს პირმოხეულ ნაციონალებს თავის დამცირება-დაკნინებაში.

— აკი ამიტომაც ეძახიან უნიათოს, უუნაროსა და დოყლაპიას... ეს შეფასებები ნელ-ნელა ხალხშიც გადადის... რაც ხელისუფლებაში მობრუნების ჟინით შეპყრობილი ნაციონალების ბნელი მიზნის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია...

— განა ტყუილებსა და ცილისწამებაზე აგებულ გაანჩხლებული კვესიტაძის „განსხვავებულ აქცენტებსა“ და გაღლაბუცებული ჯავახიშვილის „ვანოს შოუსაც“ ეგ ერთადერთი მიზანი არა აქვს?!.

— ეგ ვანო თუ ვანუა, გენაცვალე, ნამდვილი თუთიყუშია. ნაციონალების გენერალური შტაბის დაქირავებული სცენარისტები დაუწერენ ვითომ იუმორისტულ, სინამდვილეში, ნაზღაპრით მეტოქის სახელის შემლახველ, აბუჩად ამგდებ, ყველანაირად დამამცირებელ ტექსტს, ისიც დგას და წინასწარ ჩაწერილი ტაშის აკომპანემენტით თითქმის მთელი ერთი საათი თუთიყუშივით ყიპყიპებს დაზეპირებულ ტექსტს.

— ისე, კაცმა რომ თქვას, მაყურებელს უმეტესად უნიჭო ტექსტზე კი არ ეცინება ან ელიმება, არამედ თვითონ საცოდავად გათუთიყუშებულ ვანუაზე, რომელსაც თავისი არსებობის მთავარ ხელობად დამნაშავე ნაციონალთა თუთიყუშური მსახურება გაუხდია.

— რა ქნას, ვერც გაამტყუნებ, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ირჩენს თავს და ოჯახსაც ისე ინახავს... მაგ გათუთიყუშებულ კაცსაც იმის იმედი აქვს, რომ გაისად არჩევნებში ისევ პასუხუგებელ ნაციონალებს გაამარჯვებინებს და ისინი მადლიერების ნიშნად გააარწივებენ.

— ეგ არც იფიქრო. ბუნებას ბევრნაირი მეტამორფოზი კი სჩვევია, მაგრამ ჩხიკვი ან თუთიყუში ჯერ არწივად არ გადაუქცევია... როგორც ჩანს, ეს ცრუსთავორელი ჯავახიანთ ვანუა მთელი ცხოვრება თუთიყუშად დარჩება... და დედინაცვალისგან შეღონებული იმ ბუებად ქცეული ობოლი დაძმისა არ იყოს, ეგეც მამინაცვალ სააკაანთ ბიჭისგან შეღონებული გამოთუთიყუშებას, ანუ ისევ ადამიანად ქცევას ნამდვილად ვეღარ შეძლებს...

— ეჰ, ვანო, ვანო, რა გვარს აფუჭებ, ნაპროკურორალ გვარამიას დაკრულ ზე ახავლებულ-აყიპყიპებულო შე მართლა იუმორისგან გაბდღვნილო მასხარა თუთიყუშო!.. ამიტომ შენს ეგრეთ წოდებულ ვაიშოუს იქნებ სულაც „თუთიყუშოუ“ დაარქვა... მგონი, აჯობებს. სინამდვილესთან ბევრად უფრო ახლოს იქნება...

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

23 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს ზეიმობს.

წმინდა დიდმოწამე გიორგი, წარმოშობით კაბადოკიელი, მდიდარი და კეთილმსახური მშობლების შვილი იყო, რომელიც ქრისტიანული რწმენით აღზარდეს.

სამხედრო სამსახურში შესული წმინდა გიორგი, სხვა მეომართაგან გონიერებით, სიმამაცით, მეომრული ტანადობით და სილამაზით გამოირჩეოდა. მალე ათასმეთაურის წოდებას მიაღწია და იმპერატორ დიოკლეტიანეს საყვარელ მეომრად იქცა.

დიოკლეტიანე ნიჭიერი მმართველი, მაგრამ რომაული კერპების ფანატიკური მიმდევარი იყო. მან მიზნად რომის იმპერიაში უკვე კვდომადი წარმართობის აღორძინება დაისახა და ისტორიაში, როგორც ქრისტიანთა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მდევნელი, ისე შევიდა.

ერთხელ, სასამართლოზე, ქრისტიანთა ამოწყვეტის შესახებ არაადამიანური განაჩენის მოსმენისას, წმინდა გიორგი მათდამი თანალმობით აღენთო. წმინდა გიორგიმ განჭვრიტა, რომ მასაც მოელოდა ტანჯვა, თავისი ქონება ღატაკებს დაურიგა, მონები გაათავისუფლა, დიოკლეტიანესთან გამოცხადდა, თავისი ქრისტიანობა განუცხადა და იგი სისასტიკესა და უსამართლობაში ამხილა. წმინდა გიორგის სიტყვა, ქრისტიანთა დევნის შესახებ იმპერატორის ბრძანების წინააღმდეგ ძლიერი და დამაჯერებელი შეპასუხებით იყო აღსავსე.

ქრისტესაგან განდგომილი უშედეგო შეგონებების შემდეგ, იმპერატორმა წმინდანის სხვადასხვა სახით წამება ბრძანა...

წმინდა დიდმოწამე გიორგი ხატებზე თეთრ ცხენზე მჯდომარე და შუბით (ან მახვილით) გველეშაპის განმგმირავი გამოისახება. ეს გამოსახულება გარდამოცემაზეა დაფუძნებული და წმინდა დიდმოწამე გიორგი სიკვდილის შემდგომ სასწაულებს განეკუთვნება.

წმინდა გიორგი განსაკუთრებული პატივისცემით საქართველოში მოიხსენიება. ჩვენში მისი სახელობის უამრავი ტაძარია და ამ წმინდანის ხსენება წელიწადში ორჯერ აღინიშნება. წმინდა გიორგის სახელობის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატი აბაშაში არის დავანებული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ტრადიციულად მიბრძანდება გიორგობის დღესასწაულზე ქვაშვეთის წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძარში, ის ბრძანებს ხოლმე, რომ გიორგი ითვლება საქართველოს, ქართველი ერის მფარველად და მრავალჯერ შესწევია საქართველოს მტერთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოში წმინდანის პატივსაცემად ათასობით ადამიანს ჰქვია გიორგი.

წმინდა დიდმოწამე გიორგის მადლი შეეწიოს ყველა მის მოსახელეს!

გიული ლიპარტია

გფარავდეთ წმინდა დიდმოწამე გიორგის მადლი!

ისრაელის ელჩმა პატრიარქს მადლობა გადაუხადა

ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

პატრიარქმა მწუხარება გამოთქვა ისრაელში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით, მსხვერპლთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერორიზმი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

ისრაელის ელჩმა პატრიარქს განუცხადა, რომ იერუსალიმი ყოველთვის ღია იქნება ნებისმიერი რელიგიის მიმდევარისთვის და ხანგრძლივი მეგობრობისთვის მადლობა გადაუხადა.

მოგვიანებით, შეხვედრაზე ისრაელის კომპანია „J Global Group"-თან თანამშრომლობა იქნა განხილული საქართველოში ტყეების აღდგენასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ხუთშაბათს პალესტინელების მიერ ორგანიზებული ორი ტერაქტის შედეგად (თელ-ავივსა და სამხრეთ იერუსალიმში) ხუთი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, ელექტროენერგიის საფასური 4 თეთრით შევამცირეთ

ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ელექტროენერგიის ტარიფებთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„ამ მიმართულებით ჩვენ ფართო განმარტებები გავაკეთეთ. ეს, რა თქმა უნდა, მოსახლეობისთვის მძიმე და მტკივნეულია, როდესაც ჩვენ იმ ძველ ნიშნულს დავუბრუნდით. როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, 4 თეთრით შევამცირეთ ელექტროენერგიის საფასური, თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როდესაც დოლარი ლართან მიმართებაში გამყარდა, ჩვენ გვიწევს, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში დიდი რაოდენოთ ელექტროენერგიის შემოტანა, ასევე თბოელექტროსადგურები, რომლებიც გაზზე მუშაობენ და ჩვენ გაზის საფასურს დოლარს ვიხდით — ამის გამო მოხდა ტარიფის კორექტირება და იმ ძველ ნიშნულზე დაბრუნება, რომელიც 2012 წლამდე იყო", — განაცხადა კალაძემ.

„საარჩევნო კოდექსში" ცვლილებებს უნდა ველოდოთ

„საარჩევნო კოდექსში" ცვლილებების პროექტი პარლამენტში უახლოეს პერიოდში იქნება ინიცირებული. როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, საარჩევნო ცვლილებების სამუშაო ვარიანტი მზად არის, თუმცა მიდის ცალკეულ საკითხებზე მუშაობა და პროცესი უახლოეს პერიოდში დასრულდება.

საუბარია საქართველოში 73 მაჟორიტარული ოლქის დაყოფის ახალ სქემაზე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა შეესაბამებოდეს. ასევე იგეგმება მაჟორიტარულ ოლქებში 50%-იანი ბარიერის შემოღება.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მუნიციპალიტეტებზე მიბმით ფორმირების წესი, რადგან ის ხმების თანასწორობის პრინციპს არღვევს. ამიტომ, როგორც მმართველ გუნდში განმარტავენ, შემუშავებულია მოდელი, რომლის მიხედვით, მაჟორიტარულ ოლქებს შორის ამომრჩეველთა უთანაბრობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ამერიკა დიდად აფასებს საქართველოს წვლილს საერთაშორისო მისიებში

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები და მიმდინარე საკითხების ფართო სპექტრი განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის ბრიჯიტ ბრინკის შეხვედრაზე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობას, მათ შორის აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში. აღინიშნა, რომ აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და მხარეები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდეს. ხაზი გაესვა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში მიღწეულ პროგრესს და ქვეყანაში გატარებულ მნიშვნელოვან რეფორმებს.

შეხვედრაზე საერთაშორისო გლობალური უსაფრთხოების საკითხებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა ნატო-ს მისიებში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე. ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები დიდად აფასებს საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს საერთაშორისო მისიებში. საუბარი შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ბრიჯიტ ბრინკს აშშ-ის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისათვის, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში თანადგომისთვის და იმედი გამოთქვა, რომ არსებული თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

◎ მოკლედ და კონკრეტულად...

ბერნარ კუშნერი: ნუ იჩქარებთ, ევროკავშირი თვითონ უნდა შეიცვალოს!

საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ბერნარ კუშნერის განცხადებით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების დიდი შანსი აქვს. თუმცა, მისი აზრით, აჩქარება საჭირო არ არის, რადგან „ევროკავშირი თავადაც უნდა შეიცვალოს".

„რა თქმა უნდა, შანსი გაქვთ, მაგრამ ნუ იჩქარებთ. ევროკავშირი თვითონ უნდა შეიცვალოს. ჩვენ ვართ 28 ქვეყანა და 28 ქვეყანა უნდა შეიცვალოს. ჩვენ 28 ქვეყანამ ვერ შევძელით საერთო პასუხი გაგვეცა იმ ლტოლვილებისთვის, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ. 65 წელიწადი გავიდა და ჩემი რჩევა იქნება, რა თქმა უნდა, უნდა იყოთ მომზადებული და შემდეგ ვნახოთ, მაგრამ მთავარია, თქვენ უნდა იყოთ მზად ამისთვის. 28 ქვეყანა შედის ევროკავშირში, მაგრამ როდესაც სირთულეებს ვაწყდებით, საერთო პასუხის მოძებნა ძნელია. ეს არის დიდი მანქანა. მე ვხედავ სურვილებს ევროპელი ხალხის, რა თქმა უნდა, ევროკავშირში გაშლილი ხელით მიგიღებთ. მოემზადეთ, რომ ეტაპობრივად შეხვიდეთ", — განაცხადა ბერნარ კუშნერმა.

ბერნარ კუშნერი თბილისს 19 ნოემბერს ეწვია. იგი საქართველოს ჯანდაცვის სისტემას რეფორმების გატარებაში დაეხმარება.

◎ კონტაქტები

რუსეთმა საქართველოსთვის, შესაძლოა, მალევე აამოქმედოს შერბილებული სავიზო რეჟიმი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის თქმით, რუსეთი მუშაობს საქართველოს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის შერბილებული სავიზო რეჟიმის ამოქმედებაზე. რადიო „თავისუფლებასთან" ინტერვიუში აბაშიძემ, რომელიც 19 ნოემბერს პრაღაში შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს, დასძინა: „შევთანხმდით ფორმულირებაზე, რომ რუსეთის მხარე ინტენსიურად მუშაობს იმაზე, რათა უახლოეს მომავალში ეს ახალი შერბილებული სავიზო რეჟიმი ამოქმედდეს." აბაშიძეს არ დაუზუსტებია, რა კატეგორიის მოქალაქეები ისარგებლებენ საავარაუდო „შერბილებული სავიზო რეჟიმით" და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ რუსეთის მხრიდან ამ ჩანაფიქრის განხორციელება საქართველოს ბევრ მოქალაქეს მოუხსნის პრობლემას.

პრაღაში გამართულ მოლაპარაკებაზე განიხილეს, აგრეთვე, საქართველოს იმ მოქალაქეების გათავისუფლების საკითხი, ვინც რუსეთის ციხეებში ჯაშუშობისთვის იხდის სასჯელს. აბაშიძის თქმით, ეს საკითხი კვლავინდებურად პრობლემატურია. „ჩვენი მოლაპარაკების შემდეგ იმედი მაქვს, რომ წლის ბოლოს კიდევ რამდენიმე მოქალაქე დაუბრუნდება თავიანთ ოჯახებს", — განაცხადა აბაშიძემ, რომელსაც არ დაუზუსტებია, ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოს რამდენი მოქალაქე იმყოფება რუსეთის საპატიმროებში.

პრაღაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს, აგრეთვე, ორ ქვეყანას შორის სატრანზიტო და სატრანსპორტო, კერძოდ საჰაერო, სახმელეთო და საბორნე მიმოსვლის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. თუმცა, ამ კონტექსტში, როგორც აბაშიძემ თქვა, არ წამოჭრილა რუსეთთან დაკავშირებელი იმ სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის საკითხი, რომელიც აფხაზეთზე გადის. „საქართველოს ხელისუფლებისათვის მიუღებელია რუსეთის ფორმულა: დაელაპარაკეთ აფხაზებს და დაელაპარაკეთ მეზობლებს", უთხრა რადიო „თავისუფლებას" ზურაბ აბაშიძემ. „როდესაც დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ამასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემა, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თემა უპერსპექტივოა და ქართული მხარე მას არ განიხილავს", დასძინა საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენელმა.

კარასინ-აბაშიძის შეხვედრის მომდევნო რაუნდი პრაღაში მომავალი წლის თებერვალში გაიმართება.

კოგა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება"

თბილისმა ქვეყნის მეგობრებს უმასპინძლა

უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმი გაიმართა ახლახან თბილისში — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს საპატრიარქომ პირველ საერთაშორისო ქართველოლოგიურ კონგრესს უმასპინძლეს. ბუნებრივია, რომ ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ სამეცნიერო წრეების, საზოგადოებრიობის ფართო ფენების დიდი ყურადღება მიიპყრო. გაზეთის რედაქციამ რამდენიმე შეკითხვით მიმართა კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველს.

— ბატონო როინ, თუ შეიძლება, ქართველოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის შესახებ რამდენადმე, ასე ვთქვათ, „გაშლილ ფორმატში“ გვიამბეთ. როგორ წარიმართა მისი მუშაობა?

— მიმდინარე წლის 11-13 ნოემბერს თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით გაიმართა პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, რომელიც მიეძღვნა ქართველოლოგიის პრობლემებისა და პერსპექტივების განხილვას. კონგრესის გახსნის წინა დღეს შედგა უცხოელი და ქართველი მონაწილეების შეხვედრა კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან. სხდომები ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონგრესის გახსნის პატივი მე მერგო, მის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გ. კვესიტაძე, საქართველოს კულტურის მინისტრი მ. გიორგაძე, როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი პროფესორ ბ. მესხი, ჩეჩნეთის აკადემიის პრეზიდენტი შ. გაფუროვი. იქვე გაიმართა პირველი პლენარული სხდომა. მეორე პლენარული სხდომა ჩატარდა 12 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კონგრესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რექტორმა, აკადემიკოსმა ვ. პაპავამ. იმავე სხდომაზე მოხსენება წაიკითხა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთის ცენტრის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა გ. მატიშოვმა.

— ქართველოლოგიის რა მიმართულებები იყო წარმოდგენილი?

— კონგრესზე სოლიდურად იყო წარმოდგენილი ქართველოლოგიის ყველა ძირითადი მიმართულება (ენა, ლიტერატურა, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების ისტორია), რაც თავისთავად მეტყველებს ფორუმის საეტაპო მნიშვნელობაზე. გაიმართა ორი პლენარული სხდომა. მუშაობდა სამი სექცია (ენათმეცნიერების, საქართველოს ისტორიისა და რელიგიის, ლიტერატურისა და ხელოვნების), რომელმაც ჩაატარა 15 სხდომა. სულ მოსმენილ იქნა 115 მოხსენება.

საორგანიზაციო კომიტეტმა წინასწარ გამოსცა და გაავრცელა მოხსენებათა ვრცელი თეზისები. უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებათა დიდი ნაწილი გამოქვეყნდება დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ორგანოში „შავიზღვისპირა ქვეყნების სამეცნიერო ალმანახი“, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის მორიგ ნომერში.

— რა ვითარებაა საზღვარგარეთ ქართველოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით?

— კონგრესმა ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, და ეს განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ქართველოლოგია დღესაც წარმატებით ვითარდება საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებში. ამის ნათელი დადასტურებაა კონგრესის წარმომადგენლობითი ხასიათი. ქართველ კოლეგებთან ერთად მოხსენებით წარსდგნენ **საფრანგეთის** (პარიზი), **დიდი ბრიტანეთის** (ლონდონი), **გერმანიის** (ბერლინი), **რუმინეთის** (ბუქარესტი), **რუსეთის ფედერაციის** (მოსკოვი, დონის როსტოვი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი), **იაპონიის** (ტოკიო), **თურქეთის** (ანკარა, სტამბული, რიზე, ფამუკალე), **ისრაელის** (იერუსალიმი), **აზერბაიჯანის** (ბაქო), **სომხეთის** (ერევანი) წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების სახელმოხვეჭილი სწავლულები. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი მათგანი, ასე მაგალითად, ფრანგი ქართველოლოგის პროფესორი **ბერნარ უტიეს** მოხსენება მიეძღვნა მატენადარანში მიკვლეული XIII ს. უცნობი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტის მნიშვნელობის ჩვენებას ძველი ქართული ენის ისტორიისათვის; გერმანელი ლინგვისტი პროფესორი **ვინფრიდ ბოედერი** შეეხო ქართული სიტყვის მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს; შვედმა ლინგვისტმა და ეთნოლოგმა, მალმოს უნივერსიტეტის პროფესორმა **კარინა ვამლინგმა** საზოგადოებას გააცნო ფინელი ოფიცრის საქართველოში მოგზაურობის (1838-1839) დღიური, სადაც ძვირფასი ცნობებია დაცული აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ; იაპონელმა მკვლევარმა, ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა **ჰიროტაკე მაედამ** განიხილა სრულიად ახალი ირანულენოვანი მასალა გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შესახებ; რუმინელმა მკვლევარმა პროფესორმა **ნიკოლაე დურამ** წარმოადგინა ანთიმოზ ივერიელის (XVII ს.) მოღვაწეობის მრავალწლიანი კვლევის შედეგები. უცხოელ ქართველოლოგთა თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობამ კონგრესის მუშაობას საერთაშორისო რეზონანსი შესძინა. ფასდაუდებელია შრომა, რასაც ისინი ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციისთვის ეწევიან. უცხოელი ქართველოლოგების მოღვაწეობის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება.

— რამდენად მნიშვნელოვანია უცხოელ ქართველოლოგთა როლი ჩვენი მეცნიერების კვლევების ობიექტურად შეფასებაში?

— სრულიად განსაკუთრებულია მათი ღვაწლი საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის მთელ რიგ საკამათო საკითხზე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაში. დასამალი არ არის, რომ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ესა თუ ის საკითხი, სხვადასხვა მოტივით, ზოგჯერ არაობიექტურად, უფრო მეტი, დამახინჯებულად შუქდება, ვრცელდება ყალბი შეხედულებები ბეჭდური თუ ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით. ერთია, როდესაც ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ხმას იმაღლებენ ქართველი მეცნიერები, მაგრამ სულ სხვა ეფექტი და რეზონანსი აქვს უცხოელი ავტორიტეტული სპეციალისტების თვალსაზრისს საკამათო პრობლემების ირგვლივ. ისინი ხშირად ეხმაურებიან ამგვარ დისკუსიებს და რაოდენ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მათი მიუკერძოებელი დასკვნები არსებითად ემთხვევა ქართველი პოლემისტების მოსაზრებებს, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი მკვლევრების ნაზრევის ობიექტურობის წარმოსაჩენად.

— რა პრობლემებია დღესდღეობით ქართველოლოგიაში მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით?

— კონგრესმა ფართოდ იმსჯელა ქართველოლოგიის განვითარებაში ბოლო პერიოდში დაგროვილ პრობლემებზე, ამასთანავე, დასახა მათი დაძლევის გზები და სამომავლო პერსპექტივები. ამ მიმართულებით პირველი კონგრესის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ახალ სიცოცხლეს შთაბერავს და საჭირო დინამიურობას მიანიჭებს ქართველოლოგიის აღმავლობას როგორც ჩვენში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. გადაწყდა, რომ ამ ტიპის საერთაშორისო ფორუმზე ქართველოლოგთა შეკრებას პერიოდული ხასიათი მიეცეს და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ გაიმართოს. კონგრესის მუშაობის პროცესში არაერთი ახალი იდეა იშვა, მათ რიცხვში, კავკასიის ერთიანი ისტორიის შედგენის საჭიროება.

კონგრესის პროგრამის ფარგლებში მონაწილეებმა დაათვალიერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ინახულეს გრაკლიანის გორაზე (კასპის მუნიციპალიტეტი) მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების (ხელმძღვანელი პროფესორი ვ. ლიჩელი) შედეგები, მათ შორის, ადგილზე გაეცნენ ახალაღმოჩენილ უძველეს წარწერას (ძვ. წ. VII ს.) საქართველოს ტერიტორიაზე, ეწვივნენ უფლისციხეს, მსურველებმა მოინახულეს ი. სტალინის სახლ—მუზეუმი გორში.

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონგრესი, რომელმაც სავსებით გაამართლა მოლოდინი, წარმატებით ჩატარდა.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია

პაატა ბურჭულაძე ირაკლი ალასანიასთან და ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციებს არ უარყოფს

ამის შესახებ პაატა ბურჭულაძემ „საქართველოს განვითარების ფონდის“ დაფუძნების შემდეგ, „თბილისი მარიოტში“ ჟურნალისტების იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ჰქონდა თუ არა კონსულტაციები ყოფილ პრემიერთან და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერთან. „მე კონსულტაციები ყველასთან მქონდა“, — აღნიშნა ბურჭულაძემ.

გარდაიქმნება თუ არა „საქართველოს განვითარების ფონდი“ პოლიტიკურ ძალად და აპირებს თუ არა პოლიტიკაში წასვლას, პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ამას ცხოვრება აჩვენებს. „არასოდეს მიფიქრია, ვყოფილიყავი ოპერის მომღერალი, თუმცა, ცხოვრებამ მე მომცა შანსი და მე გამოვიყენე. მე მინდოდა, ვყოფილიყავი ქველმოქმედი, თუ რაიმე მოხდება და ცხოვრება მანახებს, რომ ჩემი გზა პოლიტიკაა, მე ამას გავაკეთებ“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატურას, პაატა ბურჭულაძის თქმით, ამის შესახებ დეტალურად ფონდის პრეზენტაციაზე ისაუბრებს, რომელიც დეკემბერში გაიმართება.

„მე მაქვს შეხვედრები, როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე — შიგნით. ფონდი იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ გაჩნდა იდეა, ადამიანზე იყოს ზრუნვა და კეთილდღეობა, სწორედ ამის გარშემო შეიქმნა ფონდი, დანარჩენს ფონდის პრეზენტაციაზე მოგახსენებთ“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

პაატა ბურჭულაძის ინფორმაციით, მან გააუქმა ყველა საკონცერტო კონტრაქტი და ეს იმიტომ გააკეთა, რომ ფონდი გაძლიერდეს.

ინტერპრესი

„ბრავო,“ ბრაიზა!

ღია წერილი აშშ-ის სრულუფლებიან ელჩს იან კელის

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო იან კელი, მინდა დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა, როგორც უცხო სახელმწიფოს სრულუფლებიანი ელჩისადმი ჩემს ქვეყანაში და ვირწმუნო, რომ თქვენი დიპლომატიური მანდატი და მოღვაწეობა ხელს შეუწყობს თქვენი და ჩვენი ხალხების დაახლოებას, გამოხატავს ჩვენი ხალხის ინტერესებს, მისი დიდი ისტორიული წარსულის, კულტურის, ტრადიციებისა და სულიერების პატივისცემას. სამწუხაროა, რომ თქვენი წინამორბედი დიპლომატები ვერ ან არ ასრულებდნენ ამ საპატიო მისიას, უგულვებელყოფდნენ ჩვენი ხალხის ინტერესებს და ზოგი პოლიტიკური დაჯგუფებისა და პარტიის ადვოკატებად წარმოჩნდნენ, მ.შ. ნაცმოძრაობის გახრწნილი და ფაშისტური რეჟიმისა.

მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველო დიდი ისტორიის, კულტურისა და საკაცობრიო ღირებულებების შემოქმედი ქვეყანაა. მარტო ის რად ღირს, რომ XII საუკუნეში, როცა ამერიკის ხსენებაც არ იყო, ჩვენში შეიქმნა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ანდრე მორუამ კაცობრიობის სკოლა უწოდა. 1500 წლის წინათ, V საუკუნეში, შეიქმნა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომელშიც ორიგინალურად გამოხატულია ქართული გაგება ღვთის ერთგულების, მონანიებისა და სიყვარულის უკვდავი თემებისა. ჩვენმა მწერლობამ ჯერ კიდევ V საუკუნეში დასვა ჯალათისა და მსხვერპლის პრობლემა. თქვენი მწერლობა XVIII საუკუნეში იწყება ფ. ფრენოს (1752-1832) შემოქმედებით. V საუკუნის ქართულ ენაზე შექმნილ შედევრს თანამედროვე გლეხიც კი გებულობს, ხოლო XII–XV საუკუნეების ინგლისურს, თანამედროვე ინგლისელები სწავლობენ როგორც უცხო ენას. ჩვენი ანბანი მსოფლიოს უძველეს ანბანთა თოთხმეტეულში შედის, ხოლო ინგლისური, რომელიც თქვენი სახელმწიფო ენაცაა, სარგებლობს ლათინური დამწერლობით. იქნებ არც კი იცით, რომ ძველ საუკუნეებში უკვე გვქონდა გელათისა და იყალთოს აკადემიები. თქვენი პრეზიდენტები ეიზენჰაუერი და კლინტონი აღიარებდნენ, რომ სსრ კავშირის, რომლის ნაწილიც ვიყავით, განათლების სისტემა სჯობნიდა ამერიკულს. აღიარებულია, რომ ქართული აღორძინების სკოლა საუკუნეებით უსწრებს დასავლურ რენესანსს. დასავლელ დიპლომატებს კი პაპუასების ქვეყანაში ჰგონიათ თავი.

ამ დროს, თქვენი საელჩოს ატაშე ჰარისონი „ჭკუას გვასწავლიდა“ – „ქართველებს მეცნიერება არაფერში გჭირდებათ, ეკონომისტებს და იურისტებს ჩვენ მოგიმზადებთო.“ ასე თქვენი მოწონებული ნაცური რეჟიმის დროს იყო. ამერიკის სრულუფლებიანი ელჩი „რუსთავი-2“-ის ადვოკატის ლექსიკით არ უნდა საუბრობდეს. როგორი იურისტიც მოგვიმზადა თქვენმა ცეერუმ სააკაშვილის სახით, მთელმა მსოფლიომ ნახა, რომელმაც საკაცობრიო ცოდვა ჩაიდინა, ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, განახორციელა ქართველი ხალხის პოლიტიკური ინტერვენცია, დევნა და დევიზით „ყველანი ციხეში!“ მოსახლეობის დიდი ნაწილი ციხეში ჩაყარა, აწამა და გააუპატიურა, მ.შ. მამაკაცებიც. ამ დროს, თქვენი ჩინოვნიკები მას „დემოკრატიის შუქურას“ ეძახიან. რატომ იბრმავებთ თვალებს, ბატონო ელჩო, პატიმრების, მ.შ. პოლიტიკური ნიშნით, სრულიად უკანონოდ დაჭერილების, წამება-გაუპატიურება თუ ამერიკელებს დემოკრატია გგონიათ, გვითხარით და იქნებ დაგიჯეროთ. თქვენი „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილი მოძღვრავდა თავის ზონდერებს, ამერიკაში ორი მილიონი პატიმარი ჰყავთ, ყოველ მეათეს, მ.შ. მამაკაცებს, აუპატიურებენო, წამების ეს ხერხი ამერიკიდან ჩამოვიტანეთო. მინდა გკითხოთ, ხომ გაქვთ ამერიკაში სიტყვის თავისუფლება?! თუ დაბეჭდავს ამ წერილს „ნიუ იორკ თაიმსი“? ცხადია, არა. რაც შეეხება „რუსთავი-2“-ს, ამაოდ „გეცოდებათ“, რადგან იგი სააკაშვილის საკუთრებაა და ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ, მის ფაშისტურ იდეოლოგიას ემსახურება, ჩვენ გვინდა, რომ ამ არხს სასამართლომ აღუდგინოს სიტყვის თავისუფლება. ბატონო ელჩო, ვალდებული ხართ, პატივი სცეთ ქართულ სასამართლოს. საბედნიეროდ. განაჩენებს ახლა მოსამართლეები წერენ და არა პროკურორები, როგორც ადრე იყო.

ჩვენ ტრადიციების ქვეყანა ვართ. ჩვენთვის ოჯახური სიწმინდე ღვთის სიმაღლეზეა აყვანილი. ამ დროს, დასავლეთი ერთსქესიანთა ქორწინებასა და გახრწნილი ცხოვრების წესს გვთავაზობს, რაც საქართველოში ვერ გაიხარებს, რასაც თქვენი საადვოკატო ქართული ტელეარხი „რუსთავი-2“ ემსახურება. ამიტომ არის, რომ მას მხარს უჭერენ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები, რომლებიც ჩვენს ხალხში მეხუთე კოლონად აღიქმებიან.

თქვენი ქვეყანა ისეთივე ოკუპანტია, როგორც რუსეთი. ოკუპირებული გაქვთ მექსიკის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ტეხასის შტატშია. რაც შეეხება ჰავაის კუნძულების ოკუპაციას, ახლა იგი აშშ-ის 50-ე შტატია. კუნძულების მოსახლეობას სურს, დაიბრუნოს დამოუკიდებლობა. რა გიშლით ხელს, რომ აღადგინოთ ისტორიული სამართლიანობა?!

ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს თქვენი ქვეყნის აგრესია ინდოჩინეთში, ინტერვენცია ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში. ამერიკელებს საკაცობრიო დანაშაული გაქვთ ჩადენილი, რომელმაც ასეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გაიხსენეთ 1946 წლის აგვისტო და ბირთვული აფეთქების კატასტროფა იაპონიის ქალაქებში – ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. თქვენმა სახელმწიფომ პირველმა დაუშვა მსოფლიოში ბირთვული იარაღის მშვიდობიან მოსახლეობაზე გამოყენების პრეცედენტი. მაღალი რანგის დიპლომატს უთუოდ გემახსოვრებათ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მთავრობამ სამჯერ შესთავაზა თქვენს ხელისუფლებას ბირთვული იარაღის საყოველთაო ლიკვიდაცია და სამივეჯერ უარი მიიღო. რატომ „ეძებდით“ ერაყში ბირთვულ იარაღს, როცა თქვენმა ცეერუმ ზედმიწევნით კარგად იცოდა, რომ იგი იქ არ არსებობდა?! მაშ, რატომ შეიჭერით იქ, იმიტომ ხომ არა, რომ სადამმა ევროზე დაიწყო ნავთობის გაყიდვა?! 2006 წლის 30 დეკემბერს, დილის ექვს საათზე ბაღდადის დროით, მუსლიმანური დღესასწაულის ყურბან-ბაირამის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ჩამოახრჩვეთ იგი. XXI საუკუნეა, ბატონო ელჩო!

და კიდევ: ლიბიაში ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა, ცხოვრობდა უკეთ, ვიდრე ამერიკაში. ადრე პოლკოვნიკი კადაფი თქვენი კაცი იყო, რატომ შეიჭერით? იმიტომ ხომ არა, რომ კადაფიმაც სხვა ვალუტაზე დაიწყო ნავთობის გაყიდვა? ლიბიელებს დაურღვიეთ ბედნიერი ცხოვრება და ქაოსი შექმენით. ახლახან თქვენმა ერთმა კონგრესმენმა განაცხადა, უკრაინის ოპოზიციისათვის უფრო მეტი იარაღი უნდა მიგვეცაო. თქვენი წაქეზებით გამართულ სამოქალაქო ომში 60 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა. ახლა გაიძახით რუსეთმა ყირიმი წაართვაო, რომელიც არასოდეს ყოფილა უკრაინის. ნუთუ, არ იცით, რომ იგი ხრუშჩოვის ვოლუნტარისტული მმართველობის დროს უკანონოდ გადაეცა უკრაინას? თუ არა თქვენ მიერ წაქეზებული პუტჩისტური მოძრაობა და სამოქალაქო ომი, რუსეთი ყირიმს თითსაც ვერ დააკარებდა. თქვენი დახმარებისა და რუსეთის ნების გარეშე, იანუკოვიჩს ადგილიდან ვერავინ დაძრავდა. ნათელია, რომ მეამბოხეები გაურიგდნენ რუსეთს და იანუკოვიჩის გადაყენების სანაცვლოდ, ყირიმი დათმეს. ასე იყო საქართველოშიც 1991 წელს. ქართველმა პუტჩისტებმა გამსახურდიას ჩამოგდებისა და პარლამენტის გარეკვის სანაცვლოდ (დახმარებისათვის) აფხაზეთი დათმეს. ამერიკულმა ინტერესებმა აღმოსავლეთ ევროპაში და კოსოვოს აღიარებამ, რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებისათვის. ახლა პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, უკრაინისა და საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში არ ჩავერევით, რადგან ნატოს წევრები არ არიანო. ჩვენთვის ნატოს ღია კარიც მირაჟია. მირაჟია ევროკავშირიც, რომელსაც შიგნიდან ბზარი გაუჩნდა. რატომ შედის თქვენს ინტერესებში აღმოსავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების მ.შ. უკრაინის დაშლა-დაქუცმაცება,?! რატომ ბომბავდნენ თქვენი ბომბდამშენები კოსოვოს იმ რაიონებს, სადაც მართლმადიდებელი მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობს?! გამოდის, რომ ერთი ხელით ტერორისტებს ებრძვით და მეორეთი – ახალისებთ და ეხმარებით. საჭიროა მსოფლიოს პროგრესული ძალების გაერთიანება, გნებავთ კოალიციის შექმნა, ტერორიზმის მიზეზების აღმოსაფხვრელად. თვითმკვლელ ტერორისტს სიკვდილით ვერ შეაშინებ. პრესის ცნობით, 2014 წლის იანვარში აშშ-ს კონგრესმა დახურულ საკომიტეტო სხდომაზე გადაწყვიტა, დაეფინანსებინა სირიაში ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი „ალ-ნასრა“, რომელიც თანამშრომლობდა „ალ-ქაიდასთან. აშშ-ს მიერ ძებნილი 5 ყველაზე საშიში ტერორისტის სიაში შედიოდა იბრაიმ ალ-ბადრი, რომლის დაკავებაში ათ მილიონ დოლარს იძლეოდით. რატომ ხვდებოდა მას თქვენი მაკ კეინი?! ამ შეხვედრამდე ერთი თვით ადრე, მან აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი დაირქვა და ისლამური სახელმწიფო შექმნა. რატომ აღმოჩნდა ამერიკისა და ბრიტანეთის მიერ „თავისუფალი სირიის არმიისათვის“ გადაცემული „ტოიოტას“ მარკის ასობით ჯიპი ისლამური სახელმწიფოს ხელში?! ეს არის ამერიკის „როინ პოლის მშვიდობისა და განვითარების ინსტიტუტის“ ცნობა. თქვენი შექმნილია, ბატონო ელჩო, ალ-ქაიდაც და ისლამური სახელმწიფოც. თავიდან ბაშარ ასადიც კადაფივით თქვენი კაცი იყო. იმიტომ ხომ არ ებრძვით ახლა, რომ კატარის ნავთობი თურქეთისაკენ სირიაში არ გაატარა?!

საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა. თქვენი ერთი შტატის ხელაც კი არაა. რა გჭირთ ამერიკელებს ჩვენი დასახმარებელი ერაყსა და ავღანეთში?! მაშინ, როცა თვით ნატოს წევრი ქვეყანა უარს ამბობს ამ ოპერაციებში მონაწილეობაზე. ხომ ხედავთ, რომ ავღანეთში ამერიკულმა ინტერვენციამ არ გაამართლა. ქვეყნის 70 პროცენტს თალიბანი აკონტროლებს. ავღანელებს თუ თალიბანი უნდათ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. ანდა, გვიპასუხეთ, კიდევ რამდენი ქართველი ჯარისკაცი უნდა დაიღუპოს ერაყსა და ავღანეთში, ნატოში რომ მიგვიღოთ?!

რომ ამბობთ მართვაში ივანიშვილის ფარულ ხელს ვხედავო, ეს სააკაშვილ-ბოკერიას ლექსიკის შედევრია, ბატონო კელი, ბრმად რატომ იმეორებთ. მე კი მართვისა და შინაურ საქმეებში ჩარევის არაფარულ ამერიკულ ხელს ვხედავ. თქვენმა წინამორბედმა ელჩმა განაცხადა, რომ საქართველოში მაღალ თანამდებობებზე ქალები უნდა დაინიშნონო. ერთი კვირის შემდეგ თავდაცვის მინისტრად რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი ინიშნება. ეს მაშინ, როცა ჯანელიძე კარგი მინისტრი იყო. ხალხი ხედავს, რომ ხიდაშელის სახით ჩვენს პრემიერს და „ქართულ ოცნებას“ კატა გამოუთხარეთ. დაწყებულია ნაცმოძრაობის რესპუბლიკელებით ჩანაცვლება, რაც ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ არის მიმართული. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც თავს გამოიჩენს ეკონომიკითა და სამხედრო დოქტრინით. ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მთავარი გზავნილი დანარჩენი მსოფლიოსადმი არის ჩვენი დიდი კულტურული და სულიერი ტრადიციები. ამ სფეროში ნამდვილად გვაქვს საერთაშორისო ასპარეზზე თავმოსაწონებელი და გამოსაჩენი. სამწუხაროდ, თქვენმა აღმოჩენილმა „დემოკრატიის შუქურამ“ და მისმა ფაშისტურმა რეჟიმმა ერთი ხელის დაკვრით გაანადგურა ახალგაზრდა თავისუფალი სიტყვა, გაანადგურა ჩვენი სამეცნიერო სკოლები, დემოკრატიული სულისკვეთების გამომხატველი ინსტიტუტები – გამომცემლობა „სამშობლო“, მწერალთა კავშირი, ბავშვების საყვარელი ჟურნული „დილა“, ჟურნალი „მნათობი“, „ცისკარი“, „კრიტიკა“. ღამით ნიღბიანი სპეცრაზმელები შეუსიეს, დაარბიეს და ქუჩაში გამოყარეს წლობით ნალოლიავები რარიტეტული ნივთები. ადამიანების წამებასა და გაუპატიურებაზე აღარაფერს ვიტყვი, რადგან ეს მთელმა მსოფლიომ იცის. მსგავსი ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებსა და საბჭოთა გულაგებშიც კი არ მომხდარა. თქვენთვის ისიც ცნობილი უნდა იყოს, რომ პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი ჩამოყალიბებული ნარკომანია და რამდენიმე მილიარდი წაგლიჯა ქართველ ხალხს და გაიპარა. თუ რატომ და როგორ აღმოჩნდა იგი მისი კრიმინალური დაჯგუფებით უკრაინის ხელისუფლებაში, ამ კითხვის პასუხს თქვენგან მოველით. ისინი აუცილებლად უნდა წარსდგნენ ქართული სასამართლოს წინაშე. რამდენიც არ უნდა ეცადონ, სააკაშვილის მოქრთამული დასავლელი ჩინოვნიკები, პოლიტიკური დევნის ჩარჩოში ვეღარ ჩასვამენ. გეხსომებათ, იაპონიაში ერთდროულად ჩაყარეს ციხეში 26 კრიმინალი მაღალჩინოსანი. სააკაშვილის დანაშაულის ნახევარიც არ ჩაუდენია ნატოს წევრი თურქეთის ყოფილ პრეზიდენტს ქენან ენვერს, რომელსაც 96 წლის ასაკში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. თქვენ კი ქართველი კრიმინალების დაჭერას, პოლიტიკურ დევნას ეძახით. მეტი თუ არა, სირცხვილია, ბატონო ელჩო. სააკოვის სასამართლომ კაცს, რომელმაც 50 ლარის ჯართი მოიპარა რკინიგზაზე, 8 წელი მიუსაჯა, ხოლო გირგვლიანის მკვლელ მაღალჩინოსნებს – 7 წელი, ისიც კი არ მოახდევინეს. მოქრთამული ჩინოვნიკები ვახსენე. პრესა აჭრელებული იყო ცნობით, რომ თქვენს ბრაიზას სააკაშვილმა ქორწილში 1 მილიონი დოლარი „აჩუქა“, რითიც ნიუ-იორკში სასახლე შეუძენია. თქვენმა მთავრობამ რატომ არ მოთხოვა პასუხი, ბატონო იან კელი?! მილიონს ლამაზი თვალებისათვის არ ჩუქნიან. ამ საჩუქრის შემდეგ დაახეთქა თქვენმა დიპლომატმა, სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურაა“. „ბრავო“ ბრაიზას, ამერიკული დემოკრატიის საქართველოში აღმოჩენისთვის!

ბატონო იან კელი, რახან შემდგომ ამისა საშუალება აღარ მექნება, მინდა წინასწარ მოგილოცოთ კარსმომდგარი შობა-ახალი წელი და გისურვოთ, გეღვაწოთ ისე, როცა

თქვენი საელჩო მანდატის დრო ამოიწურება, ჩემს ხალხს დაენანოს თქვენი საქართველოდან გამგზავრება.

შოთა ზოიძე,
მწერალი.
ბათუმი

ფრთხილად, ადამიანებო, ჩვენ ხერხემლიანები ვართ და არა პრიმატები...

დღეს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აკანონებს ერთსქესიანთა ქორწინებას.

ბუნებრივია, ამ მოვლენას ეწინააღმდეგება მსოფლიოს იოტის ოდნავ მაინც საღად მოაზროვნე მოდგმა ადამიანებისა.



არ არსებობს ტრადიციული კონფესია, რომელიც თავის საკუთარ ტრადიციად არ ასაღებდეს ორსქესიანთა შეუვალობას, რომ ერთსქესიანთა არსებობა არის შეურაცხმყოფელი მათი ტრადიციებისა, ამათ რიგებს მიეკუთვნება ქრისტიანული სამყაროც და ყველასთან ერთად მიაჩნია ღვთის გმობად. კი, ბატონო, არის ეს ღვთის გმობა, მაგრამ ღვთის გმობა რა არის მასთან, რასაც სიცოცხლის კანონი ჰქვია. მე არ ვარ მეცნიერული კვლევის სუბიექტი ამ საკითხში, ვარ უბრალო მოხუცი პენსიონერი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სიცოცხლის კანონს აქვს უფრო დიდი, ბევრად დიდი შეუდარებელი ამოსავალი, ვიდრე ყველა ამ კეთილად და სიამაყით მოხმობილი შიდა ტრადიცია რომელიმე თუნდაც ზეძლიერი კონფესიისა. ბუნება და სიცოცხლე ეს არის ერთი მცნება, წარმოუდგენელია ბუნება სიცოცხლის გარეშე და სიცოცხლე ბუნების გარეშე.

მე არ უარვყოფ ადამ და ევას ლამაზ ლეგენდას, მაგრამ მითხარით, მართლა ღმერთმა თიხისგან გამოძერწა ადამიანი?

დარვინიზმი ჩემთვის ფუნდამენტური ცოდნის წყარო არ არის, რამდენადაც მე ის არ მისწავლია, მაგრამ სწორედ დარვინიზმის უარყოფამ მოიტანა ეს ადამიანთა მოდგმის მომაკვდინებელი ცდუნება, რომ შეიძლება ერთი სქესის ადამიანების ურთიერთობა.

მილიარდი წლების წინათ, როცა ყალიბდებოდა დედამიწა, მასთან ერთად ყალიბდებოდა სიცოცხლის ფენომენიც, ბუნებაში არ იქნებოდა ფლორა, ფაუნა, ადამიანი, რომ არა ორსქესიანი კანონი სიცოცხლისა, ყველაზე მარტივი ერთუჯრედიანიც კი ორი სქესის ნაყოფია, შემდგომ განვითარდა: ერთუჯრედიანმა შექმნა მრავალუჯრედიანი და წავიდა სიცოცხლე განვითარებისკენ, რამაც ბოლოს და ბოლოს მიგვიყვანა ადამიანამდე. არ ვიცი ვისია ეს ფუნაგორია ადამიანის განვითარების საკითხზე, რომელიც მიდის მაღლა და ბოლოს ისევ ეშვება არარაობაში, სწორედ ამ გზაზე ვდგებით ჩვენ ადამიანები, როცა ვაკანონებთ ერთსქესიანთა ქორწინებას და საერთოდ ერთსქესიანთა ურთიერთობას.

წარმოიდგინეთ, რომ ამ ერთსქესიანთა ურთიერთობამ მიიღოს გლობალური მასშტაბები, ბუნებრივად ადამიანი აღარ დაიბადება და თუ დღეს არსებობს რაღაც მეთოდები ხელოვნურად ადამიანის მიღებისა, ისიც აღარ იქნება, რამდენადაც სქესის ხრწნა გამოიწვევს მის კვდომას ადამიანებში და აღარც მასალა იქნება ადამიანის მისაღებად. ეს არის მატლის გზა, ჩნდება, იზრდება და გარკვეული დროის შემდეგ იკეთებს პარკს და შიგ კვდება.

როცა ბუნება და მასთან ერთად სიცოცხლე იქმნებოდა, ე.ი. ყალიბდებოდა ორი სქესი, რომლებიც გამდიდრებდნენ ბუნებას სიცოცხლით, ამ კანონით შეიქმნა მცენარეც, ერთსქესიანი მცენარე არ არსებობს, უბრალოდ ზოგ მცენარეში მკვეთრად არის გამოხატული სქესთა სხვაობა და ამ სხვაობის შედეგი ახალი მცენარის აღმოცენებაა, ასეა ცხოველიც. თავიდან სქესთა სხვაობა იმიტომ არ შექმნილა, რომ სექსი განხორციელებულიყო, ორი სქესი შეიქმნა ბუნებაში რეპროდუქციის მიზნით, ასეა ცხოველებში, მათ წლის ერთსა და იმავე დროს აქვთ ბუნიობა და ერთდებიან რეპროდუქციის განსახორციელებლად. ადამიანმა კი ამ

პროცესში ნახა სასიამოვნო მოვლენა და წარმოიშვა რეპროდუქციის მიზნის გარეთ დამატებით სექსი, ამან წარმოშვა ლეგენდა, რომ გარყვნილება უძველესი პროფესიაა. დიახ, ბატონებო, ადამიანმა უძველესი დროიდან დაიწყო ამ სიამოვნების ბოროტად გამოყენება, მაგრამ ამ ბოროტებას ჰქონდა თავისი დადებითი მხარეც, ის იძლეოდა რეპროდუქციას, რამდენადაც როგორც დღეს აბორტი და მსგავსი დამცველი საშუალებები არ არსებობდა.

ახლა ვნახოთ, რას იძლევა ერთსქესიანთა არსებობა.

ისევე როგორც ადამიანებში, სიცოცხლის კანონი ორსქესიანია, ასევე ბუნებაში, ნებისმიერი მოვლენა ორმუხტიანია, აქედან არის სხვადასხვა მუხტის შეერთება დადებითი მოვლენა, ხოლო ერთნაირი მუხტის შეერთება იწვევს ნგრევას და უბედურებებს, მაგალითი აქტომური ბომბი, ელჭექი და სხვა უარყოფითი ბუნებრივი მოვლენებია.

ვუბრუნდები ადამიანის ერთსქესიანულ ურთიერთობას, მართალია, ის მომენტალურ უბედურებას არ იწვევს, მაგრამ საბოლოო ჯამში გამოიწვევს ადამიანთა მოდგმის მოსპობას. დადგება ისევ ევოლუციების ახალი პერიოდი, თუმცა არავინ იცის, რა სახით წავა ეს ევოლუცია. მოკლედ ის ფაქტი, რომ ყველა ერი და ყველა კონფესია თავის საკუთარ ტრადიციად მიიჩნევს ორსქესიან ბუნებას ადამიანის ცხოვრებაში, ეს უაღრესად დადებითი მოვლენაა ნებისმიერ კულტურათა წარმომადგენლებისთვის, რამდენადაც მათ იციან რომ ამის გარეშე ადამიანი როგორც ასეთი, ვერ იარსებებს.

ეს არის, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ადამიანის გონივრული ინსტინქტი სიცოცხლისაკენ და ვინც ამის წინააღმდეგ მიდის, ისინი არიან ჯერ არარსებული სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენნი, ამდენად ობამა იქნება ეს, ელეონორა თუ ჯორჯი, ყველა კანონგარეშედ უნდა გამოცხადდნენ და მოხდეს სასტიკი დევნა ამ ცნობიერებისა.

ფრთხილად, ადამიანებო, ჩვენ ხერხემლიანები ვართ და არა პრიმატები, რომლებიც თვითონ იკლავენ თავს. შორს ადამიანის ცნობიერებიდან ერთსქესიანთა საერთოდ ხსენება, თავის დროზე ალბათ ასე ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები, როცა სოდომის და გომორის ცოდვა დასაწყისშივე ჩაკლეს.

სიცოცხლე არის ბუნების კანონი, რომლის გარეშე ბუნება ვერ იარსებებს და ვერც ის კონფესიები და კულტურათა წარმომადგენლები, რომლებიც შეგნებულად მიიჩნევენ ურთიერთობებში ორსქესიანობას ერთადერთ საშუალებად ოჯახის არსებობისათვის. მათ ამ საქმის კანონმდებლობაში ხელი არ მიუწვდებათ, მათი შესაძლებლობები მხოლოდ მოწოდებებითა და ქადაგებით ამოიწურება. ეს უაღრესად საკაცობრიო თემა შეუძლია ასწიოს და გადაწყვიტოს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებამ. მე დღეს იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენ ამერიკისკენ კი არ უნდა ვიხედებოდეთ, არამედ დავირაზმოთ ობამას წინააღმდეგ. მე ახლა გავიგე, თურმე ობამაც პედერასტი ყოფილა, აი, ძაღლის თავი სად მარხია.

ეს არ იქნება, რა თქმა უნდა, ატომის მსგავსად მომენტალური კატასტროფა, მაგრამ იქნება უფრო სასტიკი ადამიანთა მოდგმის გლობალური კატასტროფა.

ქართლოს ზაქარეიშვილი.

◎ ალიან-ჩალიანი

„ბერი ანდრიას სახელობის ფონდს“ მიწის ნაკვეთი გადაეცა

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან იტყობინებიან, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინიცირებით, თბილისში, დიდგორის ქ. №64ში მდებარე 6493 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა „ბერი ანდრიას სახელობის ფონდს“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 20 წლის ვადით, ქონების საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოყენების პირობით გადაეცა.

ამ თემაზე გუშინ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ეკატერინე სისაურმა ბრიფინგი გამართა. მისი განცხადებით, გადაცემული ქონების ბაზაზე ფონდი საქმიანობის მასშტაბის გაზრდას და მისი ზრუნვის ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის უფრო სრულყოფილი გარემოს შექმნას გეგმავს.

„ბერი ანდრიას სახელობის ფონდის“ დამფუძნებელმა, თინათინ ჩხვიმიანმა საკითხის ინიცირებისთვის დიმიტრი ქუმსიშვილს და სამინისტროს წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სიმსივნით დაავადებული ბავშვები, რომლებიც ძირითადად რეგიონებიდან ჩამოდიან მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის, უფრო მეტად იქნებიან უზრუნველყოფილნი ახალი სახლით, რომელიც გადაცემულ ქონებაზე, სხვადასხვა შემოწირულობებით აშენდება.

მისივე თქმით, ახალ სახლში ბავშვებისთვის იქნება გაცილებით უკეთესი პირობები, მათ სადღეღამისო რეჟიმში ადგილზე მოემსახურება ექიმი და შეიქმნება მზრუნველობის უფრო მეტი შესაძლებლობა იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც სიმსივნური დაავადების გამო განსაკუთრებული თანადგომა ესაჭიროებათ.

„ბერი ანდრიას სახელობის ფონდი“ 2012 წელს დაარსდა და ადრეულ ასაკში სიმსივნით გარდაცვლილი ბერი ანდრიას (ერისკაცობაში ნუგზარ მილორავა) სახელს ატარებს. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულება სიმსივნით დაავადებულ ბავშვებზე და მათ ოჯახებზე ზრუნვაა.

რა თანხით დაეხმარნენ მეწარმეებსა და ფერმერებს?

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 2013 წლიდან დღემდე სულ 642 488 095 ლარი და 163 176 553 აშშ დოლარი გაიცა. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 3-წლიან ანგარიშშია ნათქვამი, რომლის პრეზენტაციაც გუშინ საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა.

მეწარმეებისა და ფერმერებისთვის იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის მიზნით, დღეის მდგომარეობით, სულ 25 200 შეღავათიანი აგროკრედიტი გაიცა.

უწყების განმარტებით, სულ დაფინანსებულია 139 ახალი საწარმოს შექმნა და 665 საწარმოს გაფართოება.

„ახალ საწარმოებში შეიქმნა (სეზონურობის ჩათვლით) 3 500 სამუშაო ადგილი“.

რაც შეეხება პროექტ „აწარმოე საქართველოში“, მის ფარგლებში გაცემულია 18 029 298 მლნ აშშ დოლარის შეღავათიანი სესხი. დაფინანსებული დარგებია: რძის გადამუშავება, ჩაის წარმოება, ცხოველის საკვების წარმოება, ხილის გადამუშავება, მეფრინველეობა, სასათბურე მეურნეობა.

ცუდი ღვინო, პრაქტიკულად, აღარ იყიდება

„ღვინის ხარისხი სისტემატურად კონტროლდება. ცუდი ღვინო, პრაქტიკულად, აღარ იყიდება. შეგვიძლია, ამით ვიამაყოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ბოთლი ღვინო, რომელიც ქართულ დახლზე დევს, მაქსიმალურად უტოლდებოდეს ნებისმიერ ექსპორტირებულს, რადგან ექსპორტის ნაწილში იმიჯი გაცილებით მეტი აქვს ქართული ღვინის ხარისხს“, — აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ.

„სამწუხარო ციფრები გვაქვს არყისა და ღვინის მოხმარების ნაწილში. დაახლოებით 7-ჯერ მეტი არაყი მოიხმარება საქართველოში, ვიდრე ღვინო, რაც საკმაოდ სავალალო ციფრია. ამიტომ ჩვენ ვგეგმავთ, ხელი შევუწყოთ ამის ბალანსს“. მისივე განმარტებით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, დაიკავოს საპატიო ადგილები საექსპორტო ბაზრებზე.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავაგრძელოთ ის დივერსიფიკაციის პოლიტიკა, რომელიც დავიწყეთ გასულ წელს. მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი პროდუქცია შეიქმნას საქართველოს სოფლის მეურნეობის ფარგლებში და მოხდეს მისი ექსპორტი საზღვარგარეთ, მათ შორის, რა თქმა უნდა, ისეთ სტრატეგიულ ბაზარზე, როგორიცაა ევროკავშირის ბაზარი. ეს არის ჩვენი სამომავლო მიზანი“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

ინტერპრესი

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №247

წიგნის მკითხველთან ახლოს...

მას მერე, რაც ბუდაპეშტში გამოჩენილი ქართველი მწერლის გრიგოლ აბაშიძის ძეგლი დაიდგა და მადლიერმა უნგრელმა ხალხმა შანდორ პეტეფის ქართულად მთარგმნელისადმი თავისი დიდი პატივისცემა გამოხატა, საქართველოში წლების მანძილზე არ მოხერხდა უკვე არსებული სკულპტურული პორტრეტისათვის ადგილის გამონახვა, არქიტექტურული გადაწყვეტა და დამონტაჟება. ეს ნამუშევარი ჯერ კიდევ ბატონი გრიგოლის სიცოცხლეში შეიქმნა მხატვარ თეიმურაზ (თეზი) ასათიანის მიერ და წლების მანძილზე მის სახელოსნოში ინახებოდა.

დავაგვიანეთ... მაგრამ სასიხარულოა, რომ ახლა მაინც, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წინ, დაიდგა ამ დიდი ინტელექტუალის, უაღრესად წიგნიერი და განსწავლული მწერლის გრიგოლ აბაშიძის ძეგლი.

19 ნოემბერს, 4 საათზე, გახსნის ცერემონიალზე, რომელსაც ცნობილი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე **მაკა ჯოხაძე** უძღვებოდა, სიტყვებით გამოვიდნენ: ქალაქ თბილისის მერი **დავით ნარმანია,** პოეტები: **ჯანსუღ ჩარკვიანი, გიგი ალხაზიშვილი, ლია სტურუა,** საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ინგლისში **რევაზ გაჩეჩილაძე.**

საერთო განწყობა გახლდათ ამაღლებული და გარკვეულწილად ნოსტალგიურიც: ჭეშმარიტ ლიტერატურასთან, გრიგოლ აბაშიძის პიროვნულ ხიბლთან მიახლება ფასეულობათა ნიველირების ეპოქაში და ნამდვილ ღირებულებათა წარუვალობის იმედი.

მწერლის ქალიშვილმა **თოლია აბაშიძემ,** რომელიც სანიმუშო სიფრთხილით და ცოდნით უვლის მამის მემკვიდრეობას, გვითხრა:

– მე ვარ ძალიან ბედნიერი და უაღრესად მადლიერი. რა უნდა იყოს მწერლისთვის ამ ადგილზე ძეგლის დადგმაზე უფრო საპატიო. – ეროვნული ბიბლიოთეკის წინ... აქ დადიან ადამიანები, რომელთაც წიგნი უყვართ, წიგნით არსებობენ... საოცრად თბილი გარემოა და მეჩვენება, რომ აქაურობას მსოფლიო კლასიკოსთა შემოქმედების აურაც ახლავს...

მადლობელი ვარ ყველა იმ პიროვნების, ვინც მობრძანდა და თავისი დამოკიდებულება ემოციურად და სიღრმისეულად გამოხატა.

განსაკუთრებული მადლობა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს, ცნობილ მეცნიერს ბატონ **გიორგი ალიბეგაშვილს,** რომელმაც თავად მოინახულა ამ სკულპტურული პორტრეტის დადგმის შესაძლო ადგილები და მისივე წინადადებით შეირჩა ეს ადგილი. მადლობა მას, ზოგადად, ქართული მწერლობისადმი ერთგულებისთვის.

მადლობა მინდა გადავუხადო ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, დაწესებულების სრულიად არაორდინარულ ხელმძღვანელს, ძალიან ნიჭიერ მწერალს – **გიორგი კეკელიძეს** – ჩვენდამი გამოჩენილი გულწრფელი ყურადღებისთვის... და საერთოდ ყველას, ამ ბიბლიოთეკის მესვეურთ და თანამშრომლებს, რომლებიც მუდამ მზად არიან დახმარებისა და თანადგომისთვის.

გთავაზობთ გრიგოლ აბაშიძის საყურადღებო მოგონებებს გალაკტიონზე, რომელიც მწერლის ქალიშვილმა ქალბატონმა თოლია აბაშიძემ მოგვაწოდა.

სურათზე: მწერლის ბიუსტი ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე.

ირინა აბუანდაძის ფოტო



გალაკტიონი

გალაკტიონ ტაბიძესთან დაახლოება და, მით უფრო, დამეგობრება ადვილი არ იყო. იგი, როგორც თვითონაც აღიარებდა, არაკომუნიკაბელური პიროვნება გახლდათ და მასთან სიახლოვეს მხოლოდ სუფრისმიერი მწერლები ახერხებდნენ (გ. ქუჩიშვილი, გ. მეზუკე და სხვ.). მე თავად მსმელი არ ვიყავი და ჩემთვის ეს მისადგომიც გამორიცხული იყო.

მე გალაკტიონისთვის სადღეგრძელო არ მითქვამს, მაგრამ მისდამი დიდ პატივისცემას ყოველთვის გამოვხატავდი, მის შემოქმედებაზე არაერთხელ გამომითქვამს ჩემი აზრი საჯაროდ და არაერთი წერილიც გამომიქვეყნებია. მის 80 წლისთავზე, ფილარმონიის დიდ დარბაზში მთავარი მომხსენებელი ვიყავი და ადრეც მის საღამოებში მიმიღია ხოლმე მონაწილეობა. 1943 წელს გამოქვეყნდა ჩემი ლექსი „დროშები“, რომლის გამოც ბევრი კომპლიმენტი მივიღე. იმ დღეებში გალაკტიონი მწერალთა კავშირთან შემხვდა. მისთვის დამახასიათებელი ღიმილით მომმართა: „კაი ლექსი დაგიწერია ძამიკო და შენ იცი, თუ არ გაამაყდები და არ დაგვკარგავ“.

ომის დროს „სახელგამში“ გ. ტაბიძის თხზულებები გამოდიოდა რამდენიმე ტომად. ერთ-ერთი ტომის რედაქტორობა მე დამაკისრეს. ტომის რედაქცია რომ დავასრულე, ჩემი შენიშვნები ავტორს მოვახსენე, ზოგი რამ შევუთანხმე და წიგნი სტამბაში გაგზავნეს.

სულ მალე ტომი დაიბეჭდა და გამომცემლობის დირექტორმა ნ. კიკნაძემ დამირეკა, სასიგნალო ეგზემპლარები მივიღეთ და ხელი უნდა მოაწერო გასავრცელებლადო. მე მაშინვე მივედი. წიგნი კი მზად იყო, მაგრამ ავტორის პორტრეტი, რომელიც ტომს უძღოდა, ძალზე ცუდად იყო დაბეჭდილი, წიგნის პირველ გვერდზევე ლექსის სათაურშივე დაშვებული იყო კორექტურული შეცდომა, საკმაოდ უხეში.

გამომცემლობის დირექტორსაც არ ესიამოვნა წიგნის ეს ხარვეზები, მაგრამ მთხოვა, წაიღე, გადახედე და თუ მიუტევებელი რამე არ არის, ხელი მოაწერე გასავრცელებლად, რადგანაც ანგარიშზე ფული არა გვაქვს და თუ ეს ტომი არ ჩავაბარე „საქწიგნს“, ავტორებს ჰონორარს ვერ მივცემო.

მე წიგნი წამოვიღე და შეწუხებული წამოვედი. მეორე დღეს ისევ ჩავედი გამომცემლობაში. სადარბაზოს კართან სწორედ გალაკტიონი შემხვდა, მომესალმა და ხელი მაგრად ჩამომართვა. ჩემი დაღონების მიზეზი რომ ვუთხარი, სახე ღიმილით გაებადრა: „ეგ ნუ გაწუხებს ძამიკო, მას ნუღარ ვსტირით, რაც დაკარგულია, შენ ეგ წიგნი ახლავე გამივრცელე და ხვალვე შევუდგეთ შემდეგ ტომზე მუშაობას!“

ჩემს თავგამოდებას პოეტის ამ, ცოტა არ იყოს, ცინიკურმა უზრუნველობამ ცივი წყალი გადაასხა. გალაკტიონმა ხელი ჩამკიდა, დირექტორთან ამიყვანა და წიგნის თავფურცელზე დასტური მიმაცემინა.

ომის პირველი წლები იყო. ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის მდივანი ნიკა აგიაშვილი ჯარში გაიწვიეს და ჟურნალის რედაქტორის თხოვნით, მის ადგილზე დავიწყე რედაქციის მდივნად მუშაობა. გალაკტიონი მაშინ დიდ პოემას წერდა მშვიდობისა და ომის თემაზე და „მნათობში“ მოჰქონდა დასაბეჭდად ნაწყვეტები. პოემის ეს ნაწყვეტი, სამწუხაროდ, სუსტი იყო. პოეტი მაშინ სისტემატურად სვამდა და, როგორც ჩანს, თვითკონტროლის უნარი მოდუნებული ჰქონდა. იგი მარჯანიშვილის ქუჩაზე, სწორედ ჩვენი რედაქციის პირდაპირ ცხოვრობდა და თითქმის ყოველდღე შემოდიოდა რედაქციაში.

გალაკტიონს მოტანილ მასალას ვინ და როგორ დაუწუნებდა, პოემის მოზრდილი ნაწილიდან შედარებით საუკეთესოს სტამბაში ვაგზავნიდით. ნომერი რომ გამოვიდოდა, რედაქციაში შემოსული გალაკტიონი, გადაათვალიერებდა, რა თქმა უნდა, მიხვდებოდა, რომ მისი პოემის ნაწყვეტი მნიშვნელოვანი შემოკლებით იყო დაბეჭდილი, მაგრამ ამას არ შეიმჩნევდა, „ფლურები თუა გამოწერილიო“ იკითხავდა და ბუხჰალტერიისაკენ გასწევდა.

მეორე დღეს პოემის „ახალ“ ნაწყვეტს მოიტანდა, რომელშიც რედაქტორის მიერ ერთხელ ამოყრილი პოემის სტროფები ხელახლა ჰქონდა შეტანილი. ისევ ხდებოდა შემოკლება და ასე გრძელდებოდა რედაქტორისა და მისი უსიტყვო დიალოგი. რედაქტორი ისევ ამოკლებდა, პოეტი ერთხელ უარყოფილ სტროფებს ახალი ნომრისათვის დაჟინებით გვთავაზობდა და, ბოლოს და ბოლოს, თავისი გაჰქონდა, დაუბეჭდავი აღარაფერი რჩებოდა იმ ნაწყვეტიდან.

ერთხელ ახალი ლექსები მოიტანა, რედაქტორი თბილისში არ იყო, მე წავიკითხე და პირდაპირ გავგზავნე სტამბაში ასაწყობად.

ნომერი რომ დაიბეჭდა და სასიგნალო ეგზემპლარები მივიღეთ, მოულოდნელად სკანდალი მოხდა: რედაქტორმა შეამჩნია, რომ ავტორს გვარი **„ტაბიძე“** არ ჰქონდა მიწერილი და მხოლოდ სახელი **„გალაკტიონი“** მოუძღოდა დაბეჭდილ ნაწარმოებს.

ალიო მირცხულავა გაბრაზდა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ნომერს არ გავუშვებ არაფრის გულისთვის, ეს როგორ მოხდა, რომ აკაკისავით მარტო სახელი მიუწერიაო. მომხდარი ინციდენტი რედაქტორმა მის წინააღმდეგ ჩადენილ ვერსიად ჩათვალა, „მნათობის“ სასიგნალო ნომერს ხელი დაავლო და ცენტრალურ კომიტეტში გაიქცა, ცკ-ს მაშინდელ მდივანთან ილია თავაძესთან.

ალიო უკვე ცკ-ში იქნებოდა, რედაქციაში რომ შემოვიდა გალაკტიონი. ახალი ნომერი ვაჩვენე და მწუხარება გავუზიარე მომხდარი ფაქტის გამო. გალაკტიონი პირველ გვერდს დააცქერდა, სიცილი აუტყდა და იქ მყოფთ მოგვმართა: როგორ მე მირცხულავასავით უნდა მეკითხა, რა მოვაწერო ჩემს ლექსს? მე თუ მინდა „ფარსადანს“ მოვაწერ ჩემს ნაწარმოებს, ძამიკო, ეს არც ალიოს ეხება და არც ილიას (გულისხმობდა ილია თავაძეს).

როგორც ჩანს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მომხდარ ინციდენტს არ მისცეს მნიშვნელობა, რედაქტორის აღშფოთებას მხარი არ დაუჭირეს, ჟურნალის გავრცელება არ შეაჩერეს და, ბოლოს და ბოლოს, ალიოც დაცხრა, არც რედაქციის მუშაკები დაგვსაჯა და არც გალაკტიონისთვის უთქვამს საყვედური, როცა მან რედაქციას პოემის ახალი ნაწყვეტი მარტოოდენ სახელის „გალაკტიონის“ ხელმოწერით აახლა.

ასე გაიტანა პოეტმა თავისი და იმ დღიდან მის ყველა პუბლიკაციას მხოლოდ მისი სახელი ამშვენებს, როგორც აკაკი წერეთლის გამოცემებს.

ისტორია დოკუმენტებში

ჩვენი გაზეთის მკითხველს ორ დოკუმენტს გავაცნობთ! გრიფით „საიდუმლო“-ს ქვემოთ, როგორც ჩანს, ქართულის ცუდად ან არმცოდნე პირთათვის აწერია: „Секретно“.

ერთგან ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე საქართველოს მთავლიტი გასცემს ბრძანებას, მეორეგან საქართველოს მთავლიტი და სამხედრო ცენზურის განყოფილება. ორივე დოკუმენტი 1937 წელსაა შედგენილი. პირველი – „ხალხის მტრების“ პორტრეტების განადგურებას ეხება, მეორე – კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“.

ს.ს.რ. საქ. მთავლიტი
23/II 1937 წ.

აფხაზეთსა და აჭარის მთავლიტების უფროსებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ლიტ-ს, საქართველოს ს.ს.რ. რაიონიტების უფროსებს, საქ-მთავლიტის რწმუნებულებს.

არსებული ცნობების მიხედვით, საქალაქო, სარაიონო და ძირეული გაზეთების რედაქციებთან გვხვდება ძველ სურათებსა და კლიშეებში (განსაკუთრებით ჯგუფურში) ხალხის მტრების – ტროცკისტებისა და მათი დამქაშების, მემარჯვენე განაკიდან, სახეები.





საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებით, აუცილებელია, დაუყოვნებლივ შეუდგეთ რედაქციებში არსებული ყველა სურათის, ნეგატივისა და კლიშეს ყოველმხრივ წმენდას.

ცალკეული ძირებული ჯგუფური სურათების დაცვის მიზნით მათგან ამოღებულ უნდა იქნას (ამოჭრა ან გაშავება) ხალხის მტრების პორტრეტები.

ცირკულარის შესრულება შეგვატყობინეთ მთავლიტს 1 მარტისთვის.

საქ. მთავლიტის უფროსი – რუხაძე,
მდივანი – ციმაკურიძე.

* * *

საქ. სს.რ მთავლიტი და სამხედრო ცენზურის განყოფილება

საქართველოს ც.კ. კპ/ბ ამხ. ბ. ბედია

საქართველოს მთავლიტი გაცნობებთ, რომ სსრ მთავლიტის განკარგულებით და ამხ. ტანიევის ხელმოწერით, რეკომენდირებულია შეჩერდეს და შეწყდეს კონსტანტინე გამსახურდიას წიგნის „მთვარის მოტაცება“ გავრცელება“.

მთავლიტის დირექტორის მოადგილე – ზაქარეიშვილი.

* * *

„მთვარის მოტაცების“ ავტორს სულ მალე შეამკობენ „ნაციონალისტის“ და „შოვინისტის“ ეპითეტებით. გააკრიტიკებენ გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“. განადგურდება წიგნის გამოცემული ეგზემპლარები.

ვფიქრობთ, ეს ტექსტები – ამგვარი ოფიციალური დოკუმენტები დღეს განსაკუთრებულ შეფასებას არ საჭიროებენ, რადგან დრომ უკვე გააკეთა თავისი ზუსტი კომენტარი.



აქვე, რუბრიკით „პოეტის ავტოგრაფი“ გთავაზობთ ლექსს პოეტ **ლადო სულაბერიძის** არქივიდან, რომელშიც სწორედ იმ რეპრესირებული თაობის და რეპრესირებული ლიტერატურის სულია გამოხატული, ხანგრძლივი წლების დისტანციიდან:

ჩემი თაობა სულ ლოდინშია,
გზებზე ლოდინის შევრი ნიშია.
ხან ციმბირიდან,
ხანაც ომიდან
გვიან მოვიდა, ვინც ჩამოვიდა.
სულაც არ იყო ჩვენი გუნების
ლოდინი კარზე მოკაკუნების.
ჩვენ შევეხორცეთ ლოდინს შიშიანს
.....
ჩემი თაობა სულ ლოდინშია...

სურათზე: ლადო სულაბერიძე



იცით თუ არა, რომ...

● დავით აღმაშენებლის დროს ქართული ენა მთელ კავკასიაში დომინანტური იყო. სახელმწიფო ენა – ქართული – უნდა სცოდნოდა ყველას – ქართველსაც და არაქართველსაც.

● დავით აღმაშენებელი თავისი დროის დიდი მწიგნობარი იყო – იცოდა იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურა: საეროც და სასულიეროც. როგორც ისლამის დიდებული მცოდნე, განძაში ერთ სწავლულ ყადს ყურანის წარმომავლობაზე ეკამათებოდა.

● დავით აღმაშენებელმა გელათის ტაძრის ანსამბლში ააგო ქსენონი – სამკურნალო-საავადმყოფო, სადაც თვითონ მიდიოდა ავადმყოფთა მოსანახულებლად.

● მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით, მეფე მირიანი სპარსეთის მეფე ხოსრო სასანიდის ვაჟი იყო. იგი ქართველმა დიდებულებმა მოიწვიეს ქართლის სამეფო ტახტზე და ცოლად შერთეს უძეოდ გადაგებული ქართლის მეფე ასფაგურის ერთადერთი ასული – ფარნავაზიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც მალე გარდაიცვალა. მირიანის მეორე ცოლი – დედოფალი ნანა კი პონტოელი ბერძენი იყო.

● ბასიანის ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილი ერზინკის ამირა თამარ მეფემ ჯორის ნალში გაცვალა.

● 1195 წელს შამქორის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ აღლუმზე გამარჯვებულმა ქართველებმა გამოატარეს 12 000 ტყვე-მუსლიმი, 40 ავაზა, 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი, 15 000 აქლემი, ურიცხვი ღარი, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და მუსლიმთა საომარი დროშები. ხალიფას დროშა ძვირფასეულობასთან ერთად თამარ მეფემ ხახულის ტაძარს შესწირა.

● დავით სოსლანსა და ლაშა-გიორგის თამარის ხელით მოქარგული სამოსი ეცვათ.

● თამარ მეფის დროს არც სიკვდილით, არც სხეულის დასახიჩრებით არავინ დასჯილა.

● თამარ მეფის დროს ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლა.

● დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ თამარ მეფემ 12 წლის უფლისწული – ლაშა-გიორგი თანამოსაყდრედ დაისვა. ლაშას სარდლობით ქართველებმა დალაშქრეს ირანი, ავღანეთი და მიაღწიეს ინდოეთამდე, მაგრამ იმდენი ნადავლი დაუგროვდათ, უკან გამობრუნდნენ.

● მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა ვახტანგ გორგასალს ქრისტიანობის ღალატი დასწამა, დაწყევლა და განრისხებულმა ხის ქოშით კბილი ჩაუმტვრია, როცა მეფე მის ფეხს უნდა მთხვეოდა.

● ვახტანგ გორგასალს სპარსელმა დედამ სპარსული სახელი – ვარანხვასრო-თანგ (ქართულად ვახტანგი) დაარქვა.

● ლეგენდის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი სიმაღლით 2.40 სმ. იყო.

● ოთარ თაქთაქიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის ავტორია (1945).

წყარო: **„tatatatuli.wordpress.com“**

კრემლის პოლიტიკა იმპერიული დარჩება

პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე, ამ პროცესების ფონზე დასავლთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების თავისებურებებზე, „ინტერპრესნიუსი“ ცნობილ რუს ექსპერტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ნიკოლაი სვანიძეს ესაუბრა.

— ბატონო ნიკოლაი, პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ მსოფლიოში ელვის სისწრაფით ვითარდება პროცესები. ევროპა შიშიდან გამოდის და მოქმედებაზე გადადის. გააქტიურდა ამერიკაც. რუსეთი ახლო აღმოსავლეთის პროცესში მანამდეც იყო ჩართული. რჩება შთაბეჭდილება, რომ მესამე მსოფლიო ომია დაწყებული. თქვენ როგორ შეაფასებდით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ?

— რჩება შთაბეჭდილება, რომ პარიზში განხორციელებული საშინელი ტერაქტების შემდეგ ცივილიზებული მსოფლიო ავლენს გაერთიანების სურვილს. მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ახლა უფრო ფართოდ გახელილი თვალებით ადევნებს თვალს რაც ხდება და შესაბამისად ცდილობს, იმოქმედოს. იმედია, ამას, მხედველობაში მაქვს გაერთიანების სურვილი, რეფლექტორული ხასიათი არ ექნება და სრულიად გაცნობიერებულად და გააზრებულად გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი. არ მაქვს მოლოდინი, რომ ყველა ერთმანეთს ჩაეხუტება. დღეისთვის დასავლეთსა და რუსეთს შორის გარკვეული ღირებულებითი და საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური განსხვავებები არსებობს. ისეთ საერთო მიზანს, როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ისეთ საერთო მტერს, როგორიცაა „ისლამური სახელმწიფო“, არ შეუძლია სრულად გააერთიანოს დასავლეთი და რუსეთი. მიუხედავად ამისა, შექმნილ ვითარებას გარკვეულ ზღვრამდე შეუძლია მათი გაერთიანება და ეს, რა თქმა უნდა, პოზიტიურია.

რაც შეეხება დასავლეთისა და მუსლიმანური სამყაროს გაერთიანებას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, აქ საქმე კიდევ უფრო რთულადაა, ვინაიდან მუსლიმანური ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი თუ არ მიესალმება „ისლამურ სახელმწიფოს“, ცდილობს, გაუგოს მას. მიუხედავად ამისა, მუსლიმანური ქვეყნების ხელისუფლებები დიდი ხანია, მოქმედებენ გაერთიანებულ დასავლეთთან ერთად „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. გამონაკლისია ირანი, რომელიც რუსეთთან კოორდინაციაში მოქმედებს. საბოლოო ჯამში, ირანიც „ისლამური სახელმწიფოსა“ და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის.

— პარიზში მომხდარ ტერაქტებამდე პრეზიდენტი პუტინი მსოფლიო თანამეგობრობას მოუწოდებდა გაერთიანებას ტერორიზმისა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, მაგრამ კოალიცია არ შედგა. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ამჯერად მოხერხდება რადიკალური ისლამის წინააღმდეგ კოალიციის შექმნა და როგორი შეიძლება იყოს კოორდინირებული მოქმედება?

— კოორდინაცია, უპირველესად, სამხედრო მოქმედებებში იქნება. ეს გარკვეულწილად პოლიტიკურ თანამშრომლობასაც შეეხება. უკანასკნელ დრომდე დასავლეთი რუსეთს მიუთითებდა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ კი არა, ასადის ოპონენტების წინააღმდეგ იბრძოდა. ეს კი ერთი და იგივე სულაც არაა. ასადს ებრძვის არა „ისლამური სახელმწიფო“, არამედ ებრძვის კონსტრუქციული ოპოზიცია, „სირიის თავისუფალი არმია“, რომლის უკან დასავლეთი და სუნიტური არაბული ქვეყნები დგანან. სწორედ ესენი ებრძვიან „ისლამურ სახელმწიფოს“.

პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ პუტინმა განაცხადა, რომ აფეთქებული რუსული თვითმფრინავის მგზავრები ტერორის მსხვერპლნი არიან, ანუ კატასტროფა ტერორის შედეგია. დასავლეთმა ფრთხილი იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი ამის შემდეგ მაინც დაიწყებს ბრძოლას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. 17 ნოემბერს რუსეთმა ფრთიანი რაკეტებით დაბომბა „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციები, რასაც დასავლეთი მიესალმა. G-20-ის შეხვედრაზე, წინა შეხვედრისაგან განსხვავებით, როცა პუტინთან დადგომაც კი არავის უნდოდა და კუთხეში მარტო იჯდა, ახლა ანტალიაში მას ყველა ესაუბრებოდა. ეს გახლდათ ნიშანი იმისა, რომ დასავლეთი მზად არის, რუსეთთან ერთად იმოქმედოს „ისლამური სახლმწიფოს“ წინააღმდეგ. ეს აშკარად პოზიტიური ნიშანია.

— 16 ნოემბერს ამერიკელებმაც დაბომბეს „ისლამური სახელმწიფო“ და გაანადგურეს ნავთობგადაზიდვებისათვის განკუთვნილი ტერორისტების სატრანსპორტო საშუალებები. დამკვირებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი შენიშნავს, რომ პარიზის ტერაქტებმა „რუსეთი დიდ პოლიტიკაში დააბრუნა.“, „პუტინმა თავისას მაინც მიაღწია.“ თუ მანამდე მასთან კონტაქტს ყველა ერიდებოდა, ახლა მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. თქვენც თვლით, რომ რუსეთი მსოფლიოს დიდ პოლიტიკაში დაბრუნდა?

— ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. ყირიმის შემდეგ, თითქმის წელიწად-ნახევარი რუსეთი ნახევრად გარიყული იყო მსოფლიო პოლიტიკიდან. ასეთივე ნახევრად გარიყულ მდგომარეობაში იყო პრეზიდენტი პუტინიც. რუსულ სამგზავრო თვითმფრინავზე განხორციელებულმა ტერაქტმა და ტერაქტებმა პარიზში ყველას დაანახა, რომ საერთო მტერი იმდენად საშიშია, რომ მათ წინააღმდეგ გაერთიანება აუცილებელიცაა და შესაძლებელიც. „ცივი ომის“ დროინდელი დამოკიდებულებები ერთმანეთის მიმართ, დასავლეთსა და რუსეთს შორის პატარა, მაგრამ მაინც „ცივი ომი“, უკანა პლანზე გადავიდა, ვინაიდან ყველას საერთო და საკმაოდ ძლიერი მტერი ჰყავს. ახლანდელი ვითარება მაგონებს ჰიტლერთან საბრძოლველად დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სტალინთან გაერთიანებას. დასავლეთი აცნობიერებს, რომ საერთო მტერი — რადიკალური ისლამი, ეგზისტენციური გამოწვევაა და ეს სტრატეგიული მტერი სერიოზული საფრთხეა. დასავლეთი რუსეთს აძლევს საშუალებას დაბრუნდეს მსოფლიო პოლიტიკაში და ჩადგეს დასავლეთთან ერთად რადიკალური ისლამის ბრძოლაში. მაგრამ ეს რეალურად მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ რუსეთისა და პუტინის ქცევა პროგნოზირებადი იქნება. დასავლეთში პუტინისადმი სრული ნდობა არ დაბრუნებულა და არც არასოდეს დაბრუნდება. დასავლელ ლიდერთა აზრით, პუტინი არაპროგნოზირებადი ადამიანია. პროგნოზირებადობა ის თვისებაა, რაც დასავლეთში ყველაზე მეტად ფასდება, როცა საუბარია ქვეყანაზე, რომელსაც ბირთვული იარაღი აქვს და ზესახელმწიფოა.

— ისეთი პირი უჩანს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ დასავლეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობა შედგება. მაგრამ, რა შედეგები ექნება ამ თანამშრომლობას? რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ დასავლეთი დაივიწყებს ყირიმის ანექსიას, დონბასში რუსეთის დესტრუქციულ ქმედებას, მოუსსნის რუსეთს დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს?

— ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ყირიმის ანექსია არ იქნება დავიწყებული. ეს ის ჩონჩხია, რომელიც ჩვენს კარადაში ძალიან დიდხანს იქნება დაკიდებული. ყირიმის ანექსია ვერანაირად ვერ იქნება დავიწყებული, ვინაიდან ამას უკრაინა ვერ დაივიწყებს და ამას შეახსენებს დასავლეთს. ასე რომ, ყირიმის დავიწყება არ გამოვა. გარდა ამისა, დონბასში პროცესი არაა დასრულებული. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იქ კონფლიქტი გრძელდება. მის ჩაქრობას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ახლა არავინ იცის, ეს როგორ უნდა გაკეთდეს. დონბასში პუტინსა და პოროშენკოს, რომლის უკან დასავლეთი დგას, სხვადასხვა ინტერესები აქვთ.

გარდა ამისა, რუსეთში არსებობს საერთო ტრენდი, რომლის თანახმადაც რუსეთის პოტენციური მტერი დასავლეთი და ამერიკაა. რუსეთის ობივატელს, რომლებიც ფედერალურ სატელევიზიო არხებს უყურებენ, რომ ჰკითხოთ, ვის წინააღმდეგ იბრძვის ახლა რუსეთი, ისინი გიპასუხებენ — ამერიკასთან იბრძვის. იმას კი არ იტყვიან, რომ რადიკალურ ისლამისტებს ანაც „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძვის. ხელისუფლებამ ანტიდასავლური პროპაგანდა ისე აწარმოა, რომ ხალხს „ისლამური სახელმწიფო“ ამერიკის ნაწილი ჰგონია, მეტიც, ყველა ტერაქტის უკან ამერიკა დგას. ხელისუფლებამ თავად შექმნა ამგვარი ტრენდი და მას ახლა ძალიან გაუჭირდება მასზე უარის თქმა. თუ ხელისუფებამ ეს ტრენდი თავად არ გააქარწყლა, რუსეთის მოქალაქეებისა და ამომრჩევლების უდიდესი ნაწილი რუსეთის კავშირს დასავლეთთან კრემლის მიერ პოზიციების დათმობად აღიქვამს. თუ რუსეთი დასავლეთს დაუახლოვდა, რუსეთის ხელისუფლება წინააღმდეგობრივ სიტუაციაში აღმოჩნდება, ვინაიდან რუსეთი უნდა გაერთიანდეს დასავლეთთან ტერორიზმთან საბრძოლველად. პუტინს თავადაც უნდა დასავლელმა ლიდერებმა იგი მიიღონ, მანაც მიიღოს მონაწილეობა გლობალური გადაწყვეტილებების მიღებაში. სულ ცოტა ხნის წინათ პუტინი გახლდათ მსოფლიო ლიდერების მიერ გადაწყვეტილებების მიღების ობიექტი, რაც ზესახელმწიფოს მეთაურისთვის ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში ყოფნა კომფორტული ნამდვილად არ იყო. ახლა კი იგი გადაწყვეტილების მიღების ობიექტი აღარაა და თავად გახდა გადაწყვეტილებების მიღების სუბიექტი. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების პროპაგანდის ტრენდში ცვლილებები არ შეიმჩნევა.

— ბრძანეთ, რომ დონბასში ვითარება ჯერ არ დასრულებულა. იმ პროცესების ფონზე, რაც ახლა ახლო აღმოსავლეთში რუსეთის მონაწილეობით ხდება, რამდენად დიდია ალბათობა, რომ უკრაინის დონბასში პროცესები რუსული სცენარით, ანუ „მინსკი-2“-ის შეთანხმებით წარიმართება, რომელიც კიევისთვის მიუღებელია?

— არა მგონია, რომ დონბასში პროცესები რუსული სცენარით განვითარდება. ამაზე არასოდეს დათანხმდება პრეზიდენტი პოროშენკო. დასავლეთი ვერ შეძლებს უკრაინის საკითხში პუტინს დაუჯეროს. ასე იქნება მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე რუსეთს მეტი გავლენა აქვს მსოფლიოში, ვიდრე უკრაინას. დასავლეთი უკრაინის დავიწყებას ვერ შეძლებს. ეს შეუძლებელია. მითუმეტეს რომ დასავლეთში არჩევნებია მოახლოებული და დასავლელი პოლიტიკოსები ამ თემას გვერდს ვერ აუვლიან. ვინმემ რომ ასე გააკეთოს, მათ მყისიერად დაადანაშაულებენ პუტინთან მეგობრობასა და სისუსტეში. ახლა ამაზე შეიძლება წავიდეს მხოლოდ პრეზიდენტი ოლანდი, ვინაიდან მისთვის წაყენებული ბრალდება სისუსტეზე ნიშნავს იმას, რომ იგი ეფექტურად ვერ ებრძვის ტერორიზმს. ამიტომაცაა, რომ იგი არ ერიდება იმის დემონსტრირებას, რომ პუტინს ესაუბრა და კიდევ ისაუბრებს ტერორიზმთან ბრძოლის თემაზე. მაგრამ რაც შეეხება ობამასა და მერკელს, მათი მდგომარეობა ოლანდის მდგომარეობისაგან ბევრად განსხვავდება.

— პარიზში მომხდარი ტერაქტებით რუსეთმა იმდენი რამ მოიგო, ბევრი გამოთქვამს ვარაუდებს ტერაქტებში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ. ხშირად რუსეთის მისამართით ამგვარი ბრალდებები საკმაოდ ლოგიკურადაც გამოიყურება. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია რუსეთის მისამართით ამ ტიპის ბრალდებები?

— ეს აბსოლუტური სისულელეა. შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მე უფრო ბარდაგის თეორიის მჯერა. არ მჯერა როგორც ანტირუსული, ისე პრორუსული შეთქმულების. აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ აქ რუსეთი არაფერ შუაშია. ამ ტიპის მოსაზრებები უსაფუძვლოა. ცხოვრება და პოლიტიკა საკმაოდ რთულია და ობიექტურად ხშირად მართლდება რუსული ანდაზა — ნეტ ხუდა ბეზ დობრა ი დობრა ბეზ ხუდა. პარიზში მომხდარმა ტრაგედიებმა შეესაძლოა, მიგვიყვანოს მსოფლიო პოლიტიკაში პოზიტიურ ცვლილებებამდე.

— ყველაფერ იმის ფონზე, რაც ახლა მსოფლიოში ხდება, თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ პოლიტიკას გაატარებს რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში, სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოს მიმართ?

— ჩემი აზრით, რუსეთის პოლიტიკა დარჩება იმპერიული. უახლოესი მეზობლების მიმართ პუტინს სხვაგვარი პოლიტიკა არც წარმოუდგენია. პრეზიდენტი პუტინი სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავისი გავლენის ზონად მიიჩნევს. პუტინს გლობალური პოლიტიკა ასე, ანუ გავლენის ზონებად დაყოფად ესმის. ეს თქვენი — ამერიკელებისა და დასავლეთისაა, ეს კი, რაც პოსტსაბჭოთაა, რუსეთისაა და ჩემია. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ კრემლის პოლიტიკა დარჩება იმპერიული.

კობა ბენდელიანი

დასავლეთი რუსეთს საშუალებას აძლევს, დაბრუნდეს მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ დასავლეთში პუტინისადმი ნდობა არასოდეს დაბრუნდება

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთი სავიზო ლიბერალიზაციას თამაშობს?

პრაღაში გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსის მოადგილის გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა. მხარეებმა განიხილეს მთელი რიგი საკითხები, კერძოდ, ისევ საუბარი შეეხო საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის შესაძლო გამარტივებას. სხვათა შორის, ჯერჯერობით არანაირი კონკრეტული შეთანხმება არ ყოფილა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან მოწესრიგების საკითხებთან დაკავშირებით ზურაბ აბაშიძემ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაემგზავრებოდა მორიგ შეხვედრაზე პრაღაში, განაცხადა, რომ „არის გარკვეული განაცხადები მოსკოვის მზადყოფნის შესახებ – შეამსუბუქოს სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისათვის, და დაგვპირდა, „შეხედოს, თუ რა აქვს მხედველობაში რუსეთის მხარეს“.

საკითხი სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ მართლაც იქნა დასმული ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრაზე, მაგრამ არანაირი კონკრეტული ახალი ამბები პრაღიდან სავიზო რეჟიმის შესახებ არ ყოფილა. უკიდურეს შემთხვევაში არავითარი ახალი ამბები რუსი დიპლომატისაგან ქართველ ჟურნალისტებს არ მოუსმენიათ.

„ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე (საქართველოს მოქალაქეებისთვის). ვიტყვით ასე, ეს მარტივი საკითხი როდია, თუ გავითვალისწინებთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში დღევანდელ მოვლენებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ პერსპექტივა არსებობს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გააქტიურდა კონტაქტები რუსეთისა და საქართველოს ორგანიზაციებს, სტუდენტებსა და მეცნიერებს შორის. ეს ძალიან კარგია, ვინაიდან ხალხს გაუჩნდა შესაძლებლობა, განიხილოს სხვადასხვა საკითხები, მათ შორის რთული საკითხებიც, რომლებსაც ჩვენ აქ გვერდს ვუვლით გარკვეული მიზეზების გამო“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ საქართველოს პირველი არხის კამერის წინ.

ამ დროს გრიგორი კარასინს არ დაუზუსტებია, თუ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე მუშაობა როდის გამოიღებს პირველ დადებით შედეგებს.

ზურაბ აბაშიძემ, თავის მხრივ, გვაგრძნობინა, რომ საქართველოს მხარეს არ აქვს განზრახვა, გაამახვილოს ყურადღება ამ საკითხის გადაჭრაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისი უმთავრესად მუშაობს ვიზების გაუქმებაზე ევროკავშირთან.

ქართველი პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე რუსეთის პოზიციას სავიზო საკითხებზე „გაურკვეველსა და არაადეკვატურს“ უწოდებს. იგი არ გამორიცხავს, რომ სავიზო რეჟიმის გამარტივება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ურთიერთობებში ზოგიერთი პრობლემის მოწესრიგებას. ამავე დროს პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ სავიზო ლიბერალიზაცია არ არის საქართველოს მხარის პირველი ხარისხის ამოცანა:

„საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ჩვენი პროდასავლური კურსი უნდა დარჩეს უცვლელი, თანმიმდევრული და ინტენსიური. ჩვენ უნდა შევძლოთ, გავაკეთოთ ისე, რომ რუსეთთან ნორმალიზაციის პროცესმა ხელი არ შეუშალოს ჩვენს მთავარ საინტეგრაციო პროცესს. ვფიქრობ, რომ პრინციპულად ეს შესაძლებელია. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება მთლიანად შეიძლება დადებითად აისახოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის თავად პროცესზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკურ წრეებშიც არ არის ერთიანი და ერთმნიშვნელოვანი აზრი რუსეთთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გამარტივებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ პროდასავლურ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ჩვენდა გასაოცრად, ამ საკითხში უკავია მოსკოვთან იდენტური პოზიცია და გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ ამ ეტაპზე გადადგმული იქნეს რაღაც კონკრეტული ნაბიჯები სავიზო რეჟიმის გამარტივებისათვის“.

საქართველოში ყველა როდია დარწმუნებული, რომ ვიზების გაუქმება ან მათი მიღების პროცედურების გამარტივება ქვეყანას დაეხმარება. მაგალითად, ქართველი პოლიტოლოგი ირაკლი ცქიტიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთი – არაკეთილსაიმედო და არასტაბილური მეზობელია, რომელთანაც ძალიან დაახლოება არც ღირს. ამასთან ერთად მას ეჭვი ეპარება, რომ მოსკოვი წავა ვიზების გაუქმებაზე.

„სავიზო რეჟიმის ეს თემა რუსეთის მხრიდან გადმოსროლილია წმინდა პოლიტიკური ქვეტექსტით. რუსეთის მხარე უბრალოდ ამოწმებს ჩვენს საზოგადოებას, აქვს თუ არა მას რუსეთთან ურთიერთობა და როგორია ამ ურთიერთობათა ხარისხი. არ ვფიქრობ, რომ ვიზები გაუქმდება მთლიანად. მაქსიმუმი, რაც შეიძლება მოსკოვმა გააკეთოს, ეს არის სავიზო რეჟიმის გამარტივება საქართველოს მოქალაქეთა კიდევ ერთი ან ორი რაღაც კატეგორიის მოქალაქეებისათვის. ამიტომ ამ პროცესს არ შეიძლება ჰქონდეს განკუთრებული მნიშვნელობა ქართული მხარისათვის არავითარ შემთხვევაში. ეს არ არის ქართული მხარის წინადადება, არ ვფიქრობ, რომ სწორედ თბილისი სთხოვს მოსკოვს, გააუქმოს სავიზო რეჟიმი. მე მაინც უფრო მეტად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეს არის რუსული მხარის რაღაც პოლიტიკური თამაში“, – ამბობს ცქიტიშვილი.

ამ დროს სავიზო პროცესს კომენტარი გაუკეთა დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსეი პუშკოვმაც. მან განაცხადა, რომ მას არ გააჩნია არანაირი ინფორმაცია ვიზების გაუქმებასთან ანდა საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით.

Эхо Кавказа

საქმე №1/161-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

18 ნოემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI“
საარბიტრაჟო მოპასუხე: კობა კაპანაძე, ბექა მესხი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 17 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI”-ს სარჩელი მოპასუხე კობა კაპანაძისა და ბექა მესხის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2011 წლის 4 ოქტომბერს შპს „KAPI”-სა და კობა კაპანაძეს შორის დაიდო №1.12.98 საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „KAPI”-მ მსესხებელზე გასცა 5000 ლარის ოდენობით სესხი, ყოველდღიური 0,2 საპროცენტო სარგებლით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 02.11.2011წ.

ხელშეკრულების თანახმად, თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ძირი თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაედო მოპასუხის კობა კაპანაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე კობა კაპანაძეს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე კობა კაპანაძის მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე კობა კაპანაძე რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე კობა კაპანაძეს (პირადი №54001027281) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „KAPI”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. კობა კაპანაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე კობა კაპანაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 30 დეკემბერს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „KAPI”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით კობა კაპანაძისა და ბექა მესხის მიმართ.

5. კობა კაპანაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ჭიდაობა

უხვი ნადავლით

სომხეთის, რუსეთისა და საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა სომხურ არტაშატში რაზმიკ გოლეციანის სახელობის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. გიორგი გოგშელიძის შეგირდებიდან პირველ ადგილებზე გავიდნენ თორნიკე კვინიკაძე (66 კგ), ტარიელ გაფრინდაშვილი (74), გივი მაჭარაშვილი (97) და ზურაბ ურთაშვილი (120), რომლებმაც ფინალში, შესაბამისად, მასპინძლებს – ჰაკობ ავეტისიანს, ტიგრან მნაცაკანიანს, რაზმიკ პოღოსიანსა და ჰარატუნ მაგაქიანს სძლიეს. მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილები დაიკავეს გიორგი ღონიაშვილმა (50) და მოგელი მეზვრიშვილმა (84). ჩვენებურებს სომხებმა აიკ ბადალიანმა და სარგის ოვსეპიანმა აჯობეს. ნარიბეკ ოგანესიანი (50), რობერტ დინგაშვილი (55), გიორგი პასიკაშვილი (60), გიორგი ხაჩატურიანი (66), ნიკა კენჭაძე (74), საბა ჩიხრაძე (84) და გიორგი პერტაია (96) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ძიუდო

ქართველები – ჩინურ ტატამზე

ჩინური ძინგდაო ძიუდოისტთა გრან პრის მასპინძლობს. **ამ საერთაშორისო ტურნირისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ იგი ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო ქულებს იძლევა:** ჩემპიონები პირად რეიტინგს 300-300 ქულით გაიუმჯობესებენ, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები, შესაბამისად, 180 და 120 ქულას დაიმსახურებენ. ჩვენს ნაკრებს სალიცენზიო ნორმატივის შესრულება 66 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებში უჭირს, ამიტომაც ჩინურ ტატამზე ქართველი ვაჟები მხოლოდ ამ ორ წონაში მოსინჯავენ ძალებს. 66 კილოში ვაჟა მარგველაშვილი და თორნიკე თათარაშვილი, 100-ში კი ალექსანდრე მსხალაძე და გურამ თუშიშვილი იჭიდავებენ. აზიურ გრან პრიზე ორი ქართველი გოგონაც იასპარეზებს – მარიამ ჯანაშვილი (52 კგ) და ესთერ სტამი (70 კგ).

გივი გაგუა

სურათზე: მარიამ ჯანაშვილი.

◎ ჭადრაკი

გაფრინდაშვილი ერთპიროვნული ლიდერია

იტალიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატს სენიორ მოჭადრაკეთა (+65) შორის ერთპიროვნულად ლიდერობს ნონა გაფრინდაშვილი. მის ანგარიშზე 7-დან 6 ქულა და ერთქულიანი სხვაობაა მეორე ადგილზე მყოფ ვალენტინა კოზლოვსკაიასთან (რუსეთი).

4.5-4.5 ქულით III-V ადგილებს ინაწილებენ: ლუდმილა ციფანსკაია (ისრაელი), თამარ ხმიადაშვილი და თამარა სოროკინა (რუსეთი).

50+ სენიორ-ქალთა შორის 7-დან 5-5 ქულით პირველობას ტატიანა ბოგუმილი (რუსეთი) და ციალა ქასოშვილი იყოფენ. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს და მესამე ადგილზეა ნინო მელაშვილი. ტურნირის კიდევ ერთი ქართველი მონაწილის მარგალიტა თანდაშვილის აქტივში, ჯერ-ჯერობით, 3.5 ქულაა.

50+ ასაკის ვაჟ ვეტერანთა ასპარეზობას 9-დან 8 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა).

საქართველოს სახელით მოასპარეზე გიორგი ბაღათუროვის და ვარლამ ვეფხვიშვილის აქტივში, შესაბამისად, 6 და 5.5 ქულაა.

გიორგი შოთაძე

ქალები მეზობლებს ქულით ჩამორჩებიან

რეიკიავიკში გრძელდება მოჭადრაკეთა გუნდური ევროპის ჩემპიონატი. მე-6 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა საფრანგეთის გუნდს 2.5:1.5 სძლია (ნანა ძაგნიძე – მარი სებაგი 0.5:0.5, ელმირა სკრიპჩენკო – ბელა ხოტენაშვილი 0:1, ლელა ჯავახიშვილი – სოფი მილე 0:1, სილვია კოლასი – ნინო ბაციაშვილი 0:1) და 10 ქულით მეორე ადგილზეა. ჩვენს გუნდს ქულით უსწრებს რუსეთის ნაკრები, რომელიც მე-6 ტურში უკრაინას დაშორდა მშვიდობიანად – 2:2 (მარია მუზიჩუკი – ალექსანდრა კოსტენიუკი 1:0, კატერინა ლაგნო – ანა მუზიჩუკი 1:0, ნატალია ჟუკოვა – ვალენტინა გუნინა 1:0, ალექსანდრა გორიაჩკინა – ანა უშენინა 0:1). მეწინავეთა დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: სერბეთი-რუმინეთი 2:2, უნგრეთი – გერმანია 2.5:1.5, აზერბაიჯანი – პოლონეთი 1.5:2.5, ავსტრია – ჩეხეთი 2.5:1.5.

ექვსი ტურის შემდეგ: რუსეთი – 11, საქართველო – 10, უკრაინა, უნგრეთი – 9-9, პოლონეთი, სერბეთი, რუმინეთი, ავსტრია – 8-8 ქულა.

ვაჟთა შეჯიბრების მე-6 ტურში საქართველოს ეროვნულ გუნდს ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა – რუსეთის ნაკრები. მართალია, ჩვენს ბიჭებს ძალ-ღონე არ დაუზოგავთ, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ – 1.5:2.5 (ბაადურ ჯობავა – ალექსანდრ გრიშჩუკი 0.5:0.5, ევგენი ტომაშევსკი – მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, ლევან ფანცულაია – ივან ნეპომნიაშჩი 1:0, დმიტრი იაკოვენკო – ლუკა პაიჭაძე 1:0). ლიდერთა დანარჩენი მატჩები: უკრაინა – საფრანგეთი 1.5:2.5, აზერბაიჯანი – ჰოლანდია 2.5:1.5, სომხეთი – გერმანია 2.5:1.5, უნგრეთი-ნორვეგია 2.5:1.5, იტალია – ესპანეთი 1.5:2.5. **ექვსი ტურის შემდეგ** რუსეთი 11 ქულით მეწინავეობს. მას ქულით ჩამორჩება საფრანგეთის ნაკრები. შემდეგ მოდიან: აზერბაიჯანი – 9, უნგრეთი, უკრაინა, საქართველო, ესპანეთი, სომხეთი, პოლონეთი, ლატვია-8-8 ქულა.

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

მეოცნებე ჯენა მალინსი

ჯერ საფეხბურთო კლუბ „ოქსფორდის“ შესაძლებლობები არ გაიშვას არსად და ახლა მისი სათადარიგო ფეხბურთელის, უკვე 30 წელს მიკაკუნებული ჯონ მალინსის ილაჯი, რომელიც შესაძლებლობებზე მაღლა, ალბათ, ვერასოდეს ახტება და რომც „ახტეს“, საეჭვოა სადმე შორს მოუწიოს „გადახტომა“.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაფურცლავს კაცი ბრიტანულ ბულვარულ ჟურნალ-გაზეთებს და, ჰოი საკვირველებავ – სულ ჯონის სიფათია ხოლმე გამოჭიმული. რატომ ხდება ასე? მარტივი ამბავია: ჯონის მეუღლე, ცნობილი მოდელი ჯენა მალინსი ხომ ის ქალია, რომლის ხილვაც ყველას ახარებს და აბედნიერებს.

ჯენა მალინსი რომ თვალსაამო ვინმეა, ამას აქვე გამოფენილი ფოტოდანაც მიხვდებით. როდესაც ამ ქალს ეკითხებიან, თუ რაზე ოცნებობს, თვალებს ააფახულებს და დაუფიქრებლად იძახის – ერთი ჩემი ქმრის კარიერულ წინსვლას მომასწრო და მეტი არაფერი მინდაო. რა მეოცნებე ქალი ყოფილა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

პულენმა „ოლიმპიაკოსს“ 13 ქულა ჩაუგდო

საძართველოს ეროვნული ნაკრების წევრის ჯეიკობ პულენის „ცედევიტამ“ ევროლიგის მეექვსე ტურის მატჩი შინ „ოლიმპიაკოსთან“ 70:83 წააგო.

ხორვატთა რიგებში პულენი 13 ქულით, 2 პასით და ერთი ჩაჭრით საუკეთესო გახლდათ. ჯეიკობმა 5-დან 1 სამქულიანი, 5-დან 3 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო სროლა ჩააგდო. „ოლიმპიაკოსში“ 19 ქულით ჰანთერი გამოირჩა.

„ცედევიტა“ ჯგუფში 3 მოგებით და ამდენივე წაგებით მესამე ადგილზეა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჯანმრთელობისა და ლამაზი ცხოვრების სურვილით

თურქი პროფესიონალები - თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე

პაციენტის სრულად განკურნებაში უდიდესი როლი, რომ პროფესიონალ ექიმს ენიჭება ამაზე აღარ დავობენ, მაგრამ არანაკლები სტიმულია კომფორტული გარემო, პაციენტისადმი დამოკიდებულება და იმედი, რომელსაც მართლაც ლომის წილი უდევს ავადმყოფის გამოჯანმრთელებაში. სწორედ ამ პრინციპებით მოქმედებს უკვე მეოთხედი საუკუნეა თურქეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე კერძო სამკურნალო დიაგნოსტიკური დაწესებულებების ქსელი Medicana Health Group, რომელმაც დაარსებიდან სულ მცირე პერიოდში არა მარტო თავის ქვეყანაში არამედ ევროპაში და პოსტსაბჭოურ სივრცეშიც გაითქვა სახელი. ამის დასტურია ათასობით განკურნებული პაციენტი, რომლებიც პროფესიონალი თურქი მედიკოსების ხელში მოხვდნენ და უფრო მეტნი ვინც თავიანთი სიცოცხლე მათ მიანდეს და აპირებენ იმკურნალონ ზემოთ ხსენებული კომპანიის მიერ თურქეთში გაერთიანებულ თორმეტ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ კომფორტულ სამედიცინო დაწესებულებებში.

„Medicana“ თავის პაციენტებს თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში განლაგებულ კლინიკებში იწვევს სამკურნალოდ, სადაც მუდმივად ხდება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიონალი ექიმების სადღეღამისო მორიგეობა.

წლეულს თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე „Medicana“-მ თავისი ოფიციალური წარმომადგენლობა გახსნა. ამგვარი წარმომადგენლობები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვთ გახსნილი და ახლა უკვე ქართველ პაციენტებს საშუალება ექნებათ თავიანთი პრობლემები, რომელიც ბიუროკრატიულ მექანიზმებთანაა დაკავშირებული, ვიდრე თურქეთის კლინიკებში მკურნალობას დაიწყებენ, სრულიად უფასოდ მოაგვარონ თბილისის წარმომადგენლობაში.

როგორც წარმომადგენლობაში ამიხსნეს, მსურველები „Medicana“-ს ცენტრში მკურნალობისა საკმაოდ მრავლად არიან. მათ მხოლოდ ფორმა 100 უნდა წარადგინონ და შემდგომ ყველა საფეხურს „Medicana“-ს წარმომადგენლები უზრუნველყოფენ, მომსახურების ფასები სხვა ქვეყნის კლინიკებთან შედარებით საკმაოდ დაბალი და ხელმისაწვდომია. შესაძლებელია დისტანციური დიაგნოსტიკაც ადგილზევე თბილისში მოხდეს. „Medicana“-ს ოფიციალური წარმომადგენლობა თურქეთში ნებისმიერი სახის სამედიცინო მომსახურების ორგანიზებაში მხარდაჭერას სთავაზობს საქართველოს მოქალაქეებს. მომსახურება მოიცავს შემდეგ სერვისებს: **კონსულტაცია; საბუთების მომზადება** (პაციენტის ინფორმირება, დოკუმენტაციის თარგმნა და გაგზავნა); **დისტანციური დიაგნოსტიკა,** რაც მოიცავს ანალიზებისა და კონსულტაციაზე დაყრდნობით პაციენტის დიაგნოსტირებას; **სამედიცინო მომსახურების ხარჯთაღრიცხვის მომზადება და წარდგენა; მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, მკურნალობა, ყველა სახის ქირურგიული ოპერაციები და როგორც ზევით აღვნიშნეთ თურქეთში პაციენტის მომსახურება.**

MEDICANA HEALTH GROUP

აღსანიშნავია, რომ გარდა სამედიცინო მომსახურებისა Medicana Health Group ასევე ახდენს მედიკამენტების და სამედიცინო აღჭურვილობის ექსპორტირებას სხვადასხვა ქვეყნებში, რაც უთუოდ დაინტერესებს ჩვენი ქვეყნის კერძო და სახელმწიფო კლინიკებსაც.

როგორც მოგეხსენებათ, თურქეთს თავისი მდებარეობის წყალობით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამედიცინო ტურიზმის სფეროშიც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თურქეთს 62 ქვეყანასთან უვიზო მიმოსვლა აქვს, ადვილი წარმოსადგენია, რამდენ დაინტერესებულ პირს ექნება სურვილი, ეწვიოს ამ მხარეს. სწორედ მაღალი სამედიცინო მომსახურების ხარისხითა და ხელმისაწვდომი ფასებით Medicana Health Group დიდ როლს თამაშობს თურქეთის სამედიცინო ტურიზმის სფეროში. სწორედ ზემოთ აღნიშნული დაწესებულების ქსელში ყოველწლიურად მილიონზე მეტი პაციენტი ჩადის სამედიცინო სერვისის მისაღებად, დაწყებული ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციით დამთავრებული კოსმეტოლოგიით. ჯგუფის ყველა კლინიკა საერთაშორისო საკრედიტაციო ინსტიტუტის მიერაა აკრედიტირებული და მსოფლიოს სტანდარტებს შეესაბამება.

თბილისში ჭავჭავაძის №37-ში გახსნილი „Medicana Health Group“-ის ოფიციალური წარმომადგენლობა ყოველთვის მზადაა მაღალკვალიფიციურად, კომფორტულად და უმოკლეს დროში მოემსახუროს თურქეთის რესპუბლიკაში სამედიცინო დახმარების მსურველებს.

მამუკა ვაშაკიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306ᲬᲐ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჰასან ქაბადაის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰასან ქაბადაი (პ/ნ 16127118108), თურქეთის რესპუბლიკა, სტამბოლი, ქაღითჰანე, მეჰმედ აქიფ ერსოის უბანი, იაფრაქის ქ. №16/1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ცაბაძის ქ. №8-ბ, ფართი №344, 408.30კვმ. (საკადასტრო კოდი: 01.13.07.020.052.01.344).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარდამავალი იპოთეკის უფლება ღირებულებით 0 ლარი.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1478942,40 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 4 დეკემბერი, 10:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:**

შპს „მგგს საქართველო“ (ს/კ 205099212), თბილისი, ჩაჩავას ქ. №8;

ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;

რევაზ მესხი (პ/ნ 01008047730), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;

შპს „მულტი სალარო“ (ს/კ 205167004), თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ., №25, ბინა 57.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 4 დეკემბრის, 10:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2015 წლის 27 ნოემბერს 14:00 საათზე თბილისში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენობაში (მის: ალ. ყაზბეგის გამზ. №12) გაიმართება განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის“ (SRAMP) საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული პირების ინფორმირება.

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ ელ. გვერდზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდი: www.georoad.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

მარიამ ბეგიაშვილი – მობ: 577 74 40 88; ელ. ფოსტა: mbegiashvili2@gmail.com;

მაია ვაშაკიძე – მობ: 593 32 30 77; ელ. ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk.

Information about public consultation

Roads Department of Georgia makes this announcement to the attention of stakeholders that public consultation on Resettlement policy Framework for Secondary Road Asset Management is planned to be held 27 November, 2015 at 14:00 at the Conference Room of Roads Department (III floor).

Electronic version of the documents is available at the web page of Roads Department: www. georoad.ge

Contact persons:

Please, send your comments and remarks to below mentioned contact persons:

Ms.Mariam Begiashvili- phone: (+995 577) 744088, E-mail: mbegiashvili@gmail.com; and

Ms. Maya Vashakidze – phone: (+995 593) 323077 E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk

◎ რედაქციის არქივიდან

ფოტოზე შემორჩენილი ანალგაზრდობა



მერაბ ელიოზიშვილი, ელდარ შენგელაია, დიმა ერისთავი, რევაზ ლაღიძე და ჯანსუღ ჩარკვიანი. 1967 წ.

ვარლამ გეგნიურის ფოტო

დედამიწის ზურგზე

ჩინეთის პოლიციამ გაანადგურა 28 ტერორისტი, რომლებიც ძვანახშირის შახტს დაესხნენ თავს

ძალოვანი ოპერაცია 56 დღე გრძელდებოდა — ქვანახშირის მაღაროზე თავდასხმა მოხდა მიმდინარე წლის სექტემბერში. მაშინ 11 მშვიდობიანი მცხოვრები და ხუთი პოლიციელი დაიღუპნენ.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია მოთხოვნით, გახსნან ინფორმაცია ეძს-გენერალური მდივნის დაღუპვის შემდეგ

სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც განაახლა გაეროს ყოფილი ხელმძღვანელის დაგ ჰამარშელდის 1961 წელს ავიაკატასტროფაში დაღუპვის ვითარებათა გამოკვლევა, დაადგინა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკამ და დიდმა ბრიტანეთმა გაასაიდუმლოეს მთელი რიგი

დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებული იყო მომხდართან. არის ეჭვი, რომ გენერალური მდივნის თვითმფრინავი ჩამოაგდო სხვა საჰაერო ხომალდმა.

ვილნიუსში დააკავეს სულით ავადმყოფი ნარკომანი მოლოტკოვი, რომელმაც პოლიციელს ავტომატი წაართვა

როგორც გაირკვა, კვირის დასაწყისში იგორ მოლოტკოვი დააკავეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო. ეჭვმიტანილის საჩივრების შემდეგ ავადმყოფობასთან დაკავშირებით ხუთშაბათს იგი ჩაიყვანეს დედაქალაქში. ბორკილებით შებორკილმა ეჭვმიტანილმა მოახერხა გაქცევა, როდესაც ავტომობილი გაჩერდა. მოლოტკოვმა მის მცველ პოლიციელს გამოსტაცა ავტომატი და გაუჩინარდა.

„სი-ენ-ენი“: პარიზში ტერორისტული აქტების ორგანიზაციაში ეჭვმიტანილების ძებნა ნიდერლანდში დაიწყეს

ადრე იტყობინებოდნენ, რომ სალაჰ აბდესალამი 2015 წლის თებერვალში დააკავეს და იგი ჰოლანდიის პოლიციამ ნარკოტიკული ნივთიერებების შეინახვისათვის დააჯარიმა. ნიდერლანდის პოლიციაში აღნიშნეს, რომ საფუძველი საქმის გახსნისათვის და უფრო გულდასმითი შემოწმებისათვის მასთან დაკავშირებით იმ მომენტში არ ყოფილა.

ფულიანი ბიზნესმენების საყურადღებოდ!

ვისაც გსურთ 1 000 000 აშშ დოლარის მოგება ერთ წელიწადში, გამოგვეხმაურეთ!

გთავაზობთ 4 ან 5 ადამიანს კარგ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმას, საკუთრებაში მაქვს 1000 კვ.მ. მიწის ფართი (ქ. თბილისი, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე) შეიძლება არანაკლებ 5500 კვ.მეტრი საცხოვრებელი ფართის აშენება. ხოლო კომერციული საქმიანობის მიზნით ამჟამად გვაქვს დამტკიცებული მშენებლობის ნებართვა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით მესაკუთრეს საკუთრებაში არსებული მიწის ფართზე შეიძლება გამოყენებული იქნას მრავალფუნქციური (მათ შორის საცხოვრებელი დანიშნულების მიზნით) არანაკლებ 3 000 000 (სამი) მილიონი ინვესტიციის განხორციელება.

მსურველებს გთხოვთ, დამიკავშირდეთ ტელეფონზე 577 46 93 53, ზევსი.

მილოცვა

პროფესორ გიორგი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელს, თბილისის ერთ-ერთი წამყვანი სამშენებლო ტრესტის ყოფილ თავკაცს, ქართული ესტრადის ბრწყინვალე წარმომადგენელსა და ჩვენი დედაქალაქის საამაყო კოლორიტ პიროვნებას ბატონ **მერაბ მახარაძეს.**

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

◎ კადრი

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 25 ნოემბერს

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ძვირფასო, სადა ხარ?**
— **სამსახურში.**
— **იქ დავრეკე და აქ არ არისო!**
— **აჰ!... წავსულვარ უკვე...**

* * *

— **რა გქვია?**
— **იგივე, რაც დათოს!**
— **რომელ დათოს?**
— **ნებისმიერ დათოს!**

* * *

— **კვირა საღამოს რას აკეთებთ?** — ეკითხება მდივანს უფროსი.

— **არაფერს,** — გაინაზა მდივანი.

— **მაშინ ადრე დაიძინეთ, რომ ორშაბათს აღარ დააგვიანოთ!**

* * *

ჯალათს სახრჩობელისკენ მიჰყავს სიკვდილმისჯილი. ცივა, უბერავს, წვიმს. სიკვდილმისჯილი წუწუნებს:

— **რა არის, რა ამინდია, სულ გავიყინე!**

— **ეჰ, შენ რა გენაღვლება** — ეუბნება ჯალათი — **მე კიდევ უკან უნდა დავბრუნდე...**

* * *

— **ჩვენი პოლიტიკოსები რასაც ლაპარაკობენ, ნახევარი სულ ტყუილია!**

— **ნახევარი? შენ გინდა თქვა, რომ მეორე ნახევარი სიმართლეა?**

— **კი, რასაც ერთმანეთზე ლაპარაკობენ, ის სიმართლეა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე